საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 20 მარტი. 2019 წ. №56 (8722) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ

ᲛᲘᲮᲐᲡ ᲮᲘᲖᲜᲔᲑᲘ

3

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ:

ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ!

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ რუსეთთან დიალოგის ახალი ფორმატის შექმნის ინიციატივით გამოდის. განცხადება სალომე ზურაბიშვილის პრესსპიკერმა გააკეთა. მისი თქმით, ახალი ფორმატის შექმნით პოლიტიკური დიალოგი უნდა დაიწყოს.

„...რადგან ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც უარი თქვა სამხედრო დაპირისპირებაზე, პოლიტიკური დიალოგი მუდმივად, პერმანენტულად უნდა იმართებოდეს... ახალ ფორმატთან დაკავშირებით მუშაობა დაწყებულია, თუმცა ჯერ ეს საწყისი ეტაპია. ეს არ იქნება არაფრის ალტერნატივა, რადგან პრეზიდენტს მიაჩნია, რომ გამოყენებული უნდა იქნეს ყველა არსებული ფორმატი, თუმცა მისი აზრით, ჟენევის ფორმატი არ პასუხობს იმ მოთხოვნას, რაც დღეს საქართველოს სჭირდება“, — განაცხადა ხატია მოისწრაფიშვილმა.

„ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐᲡ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲙᲕᲓᲘᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲐ“

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ შეფასებით, ირაკლი კვარაცხელიას გატაცება და ძალადობრივი მოკვდინება საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა და ჩვენი სახელმწიფოსადმი დანაშაულია, — ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილის პრესსპიკერმა ხატია მოისწრაფიშვილმა დღევანდელ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ზურაბიშვილი ყველა ოფიციალურ შეხვედრას ამ თემაზე საუბრით იწყებს.

„პრეზიდენტის შეფასებით, საქართველოს მოქალაქის ირაკლი კვარაცხელიას გატაცება და შემდეგ მისი ძალადობრივი მოკვდინება საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა და დანაშაულია მიმართული საქართველოს სახელმწიფოს წინაშე. ის კიდევ ერთხელ უსამძიმრებს ოკუპანტების მიერ მოკლული ახალგაზრდის ოჯახს და სრულიად საქართველოს. ამასთან, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ეს არის საკითხი, რომელიც ყველა მაღალი რანგის შეხვედრაზე უნდა განიხილებოდეს. ამ თემის ფართოდ გასაჯაროებისთვის უნდა გამოვიყენოთ ყველა საერთაშორისო ტრიბუნა“.

ᲗᲣ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐ, ᲦᲠᲛᲐᲬᲧᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲝᲠᲢᲘ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲐ!..

4

„ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲣᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲐᲜ�გᲔᲑᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ!

ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

6

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲤᲠᲘᲗᲮᲘᲚᲔᲑᲡ

12

ᲭᲠᲐᲛᲞᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲘᲪᲮᲐᲕᲡ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ“?!

ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲝᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲨᲐᲠᲘᲙᲝᲕᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ!

— ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ოხანაშვილი, მდინარაძე არიან თანამედროვე შარიკოვები. შარიკოვები, რომლებმაც ფეხქვეშ გათელეს და გააბითურეს „ქართული ოცნების“ იდეა. ეს ადამიანები, რომლებიც იყვნენ სააკაშვილის დროის „ზონდერები“ და მისი რეჟიმის ჭანჭიკები, დღეს „ქართული ოცნების“ სახელით ლაპარაკობენ, მაგრამ ასრულებენ იგივე დავალებებს და მოქმედებენ ისევ ისე, საზოგადოების და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ, როგორც მაშინ. მოხდა ლუსტრირება და გამოჩნდა ყველაფერი. აღარავის უნდა დარჩეს კითხვა, თუ რატომ წამოვედით „ქართული ოცნებიდან, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

პრემიერ-მინისტრი ევროკომისარ სესილია მალმსტრომს დაეთათბირა

ევროკავშირთან **თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედებიდან დღემდე მიღწეული კონკრეტული შედეგები და საქართველოს ექსპორტის განვითარების სტრატეგია განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და ვაჭრობის საკითხებში ევროკომისარმა სესილია მალმსტრომმა შეხვედრაზე, რომელიც გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.**

საუბრისას პოზიტიურად შეფასდა საქართველოს მთავრობის ინიციატივები ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესების, ეკონომიკური მოდერნიზაციის, ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და პროფესიული განათლების რეფორმის მიმართულებით, ასევე მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის კუთხით.

საუბარი შეეხო პოტენციურ საექსპორტო პროდუქტებს, რომელთა გატანა ევროკავშირის ხარისხის მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილების შემდეგ გახდება შესაძლებელი.

შეხვედრისას იმსჯელეს ევროკომისიის მხარდაჭერით შემუშავებულ საქართველოს ექსპორტის განვითარების სტრატეგიაზე, რომელიც კონკრეტული პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე განთავსების სამოქმედო გეგმას მოიცავს.

პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელსაც საქართველო იღებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შეთანხმების განხორციელების პროცესში, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისთვის. მამუკა ბახტაძემ ამ კუთხით გამოყო საფინანსო შეთანხმებები „უნარების განვითარების მხარდაჭერა“ და „ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც საქართველოსთვის გათვალისწინებულია სოლიდური დახმარება.



ჰონგ-კონგის სავაჭრო განვითარების საბჭოს დელეგაცია თბილისში

გუშინ **ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი შეხვდა ჰონგ-კონგის სპეციალური ადმინისტრაციული მთავრობის კომერციისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრს ედვარდ იაუს, რომელიც საქართველოში ვიზიტით მყოფ ჰონგ-კონგის სავაჭრო განვითარების საბჭოს (HKTDC) უმაღლესი რანგის ბიზნეს-დელეგაციას ხელმძღვანელობს.**

დელეგაციის ვიზიტის მიზანი, საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაცნობა და შესაძლო ბიზნეს-კავშირების დამყარებაა ქართველ პარტნიორებთან.

მხარეებმა მიმოიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის ფართო სპექტრი და ხაზი გაუსვეს საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს, ჰონგ-კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმებული შეთანხმების მნიშვნელობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელთანაც ჰონგ-კონგმა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გააფორმა. დოკუმენტი 2019 წლის თებერვლიდან უკვე ძალაშია და მისი მიზანია, ჰონგ-კონგსა და საქართველოს შორის საქონლის თავისუფალი გადაადგილების პირობების განსაზღვრა და მომსახურებით ვაჭრობის ხელშეწყობა.

ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო საინვესტიციო და ბიზნესკავშირების გააქტიურების პერსპექტივას, პარტნიორობის საკითხებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ვაჭრობა და მეწარმეობის განვითარება, საგზაო, სარკინიგზო და საზღვაო ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიები და სხვა.

საფრანგეთი საქართველოს მოქალაქეებს პოლიტიკურ თავშესაფარს არ მისცემს!

საქართველოში **საფრანგეთის ელჩი ამბობს, რომ საფრანგეთი, ისევე როგორც გერმანია და შვედეთი საქართველოს მოქალაქეებს პოლიტიკურ თავშესაფარს არ მისცემს, რადგან საქართველოს სანდო ქვეყნად არის აღიარებული.**

პასკალ მენიე ამბობს, რომ საფრანგეთის სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები ქართველ კოლეგებს დაეხმარებიან, რათა საზღვრიდან მოქალაქეთა ხშირი გამობრუნება თავიდან იქნეს აცილებული.

„ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებამ გაითავისა ის ფაქტი, რომ ადამიანები, რომლებიც ითხოვენ თავშესაფარს და არიან დევნილები, ამან შესაძლოა, საქართველოს იმიჯი დააზიანოს და მისი ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, საფრანგეთი ისევე როგორც სხვა ქვეყნები, გერმანია და შვედეთი არ მისცემენ საქართველოს მოქალაქეებს პოლიტიკურ თავშესაფარს, რადგან თქვენი ქვეყანა სანდო ქვეყნად არის აღიარებული. გვსურს ეს მესიჯი გაიმეოროს ყველამ, რომ ის კარგად იყოს გაგებული“, — განაცხადა პასკალ მენიემ.

„მდუმარე“ დეპუტატების შენახვა ხალხს წელიწადში 657 ათასი უჯდება

„ფლანგვის დეტექტორი“ **იმ დეპუტატების სიას აქვეყნებს, რომელთა შესახებ მოსახლეობამ არაფერი იცის და არც საკანონმდებლო ორგანოში აქტიურობენ. ორგანიზაციის ინფორმაციით, ასეთი პარლამენტში სულ 30 დეპუტატია, მათგან 24 „ქართული ოცნების“ წევრია.**

სიაში მოხვედრილ დეპუტატებს პარლამენტში არ უსარგებლიათ სიტყვის უფლებით, არ გაუკეთებიათ კომენტარი, არ დაუსვამთ კითხვა და სხდომებსაც ხშირად აცდენენ. სიაში მოხვედრილი პარლამენტის წევრების შენახვა მოსახლეობას მილიონ 657 ათასი დაუჯდა.

„ისინი არ აკეთებდნენ კომენტარს არც ერთ საკითხზე, რაც პარლამენტში განიხილებოდა. ისინი არ სვამდნენ შეკითხვებს. ფაქტიურად გამოთიშული იყვნენ საპარლამენტო საქმიანობას მთლიანად. ამ 30 დეპუტატიდან აღსანიშნავია, რომ 24 არის მმართველი პარტიის წარმომადგენელი, რომელთაგანაც ორი ენზელ მკოიანი და გიორგი კოპაძე წინა წლებშიც არიან შემჩნეული მსგავს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში. 2018 წელს საქართველოს მოსახლეობამ ამ ადამიანებს საკუთარი ჯიბიდან გადაუხადა მილიონ ექვსასორმოცჩვიდმეტი ათასი ლარი“, — განაცხადა „ფლანგვის დეტექტორის“ მკვლევარმა დავით მჟავანაძემ.

მინისტრის პირველი მოადგილეები მთავრობის დადგენილებას არღვევდნენ!

სახელმწიფო **აუდიტის სამსახურმა „აეროპორტების გაერთიანების“ კონტროლის საკითხი შეისწავლა და დაადგინა, რომ საქართველოს ხელისუფლების შვიდი მინისტრის პირველი მოადგილეები მთავრობის დადგენილებას არღვევდნენ. უფრო კონკრეტულად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შვიდი მინისტრის პირველი მოადგილეები შედიოდნენ და კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობის მიზნით ვალდებული იყვნენ კვარტალში, მინიმუმ ერთხელ შეკრებილიყვნენ. 2017 წელს კი სამეთვალყურეო საბჭო მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა.**

უწყების ინფორმაციით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლოვანება გამოვლინდა შესყიდვების მიმართულებითაც. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ქუთაისის აეროპორტში მგზავრთა გადაყვანაზე „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასა“ და შპს „ჯორჯიან ბასს“ შორის 2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულებაც შეისწავლა, სადაც ასევე გამოვლინდა დარღვევები.

„კომპანიას ჰქონდა ვალდებულება, რომ გადაეყვანა 7 მიმართულებით მგზავრები, თუმცა გადაჰყავდა მხოლოდ ორი მიმართულებით. კომპანიას უნდა ჰქონოდა 2-წლიანი გამოცდილება სატრანსპორტო მიმართულების სფეროში, თუმცა კომპანიამ ვერ წარმოადგინა. მან წარმოადგინა მისი დირექტორის მიერ სხვა კომპანიაში მუშაობის გამოცდილება. ხელშეკრულების რეკვიზიტებში არ იყო მისი ხელმოწერა და იყო შეცდომით, მათი განმარტებით, სხვა კომპანიის ხელმოწერა, რაც ჩვენი აზრით მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს“, — განაცხადა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილემ ბესიკ ქოჩიაშვილმა.

ზვიად კვაჭანტირაძე კომიტეტის თავმჯდომარეობიდან წავიდა

ზვიად კვაჭანტირაძემ **დიასპორისა და კავკასიის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა თავად დატოვა.**

ამის შესახებ განცხადება მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იქამდე გააკეთა, ვიდრე მისი გადაყენების საკითხი განმეორებით კენჭისყრაზე დადგებოდა.

ნაზარბაევი გადადგა

ყაზახეთის **პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა თანამდებობა დატოვა.** ამის შესახებ მან გუშინ ტელევიზიის პირდაპირ ეთერში სპეციალური მიმართვისას განაცხადა.

„მივიღე გადაწყვეტილება, პრეზიდენტის უფლებამოსილება მოვიხსნა“, — განაცხადა ნაზარბაევმა. ნურსულთან ნაზარბაევი ყაზახეთის პრეზიდენტის თანამდებობას 1990 წლიდან იკავებდა. 2015 წელს ის მეხუთე ვადით აირჩიეს თანამდებობაზე...

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖᲛᲐ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა შესახებ ერთობის და თანასწორობისა, სოციალურ მშვიდობიანობის, და ახალი თაობის შემოქმედებისა. მერმე თავი ბოლოს ვეღარ მიაბა, აბორძიკდა, წაიფორხილა და თავისი სადღეგრძელო ასეთის დარიგებით და ლოცვით დაასრულა: — დაიცავით ძმობა, მ...მშვიდობა და ამხანაგობა! დ...დდანარჩენი თვითონვე დ...დდალაგდება. ყველამ გულში ჩაიწერეთ შ...შშრომა და პ...პპატიოსნება. ღმერთმა ყველას მოგცეთ მ...მშვიდობა და მ...მმოთმინება.

მიხეილ ჯავახიშვილი. „ᲯᲐᲧᲝᲡ ᲮᲘᲖᲜᲔᲑᲘ“.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ პოლიტიკურ ველზე ამ ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, სამწუხაროდ, გვაჩვენა, რომ ე.წ. „ოპოზიციას“ ჯაყო დაეპატრონა და სოფელ ნაშინდარად აქცია.

ამ წერილში სხვა პოლიტიკანებზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც მათ თავიანთი ადგილი, როლი და, ასე ვთქვათ, გარკვეული ფუნქცია აკისრიათ. ჩემდა სამწუხაროდ, ყურადღება მინდა გავამახვილო პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის დავით უსუფაშვილისა და თავდაცვის ყოფილი „მინისტრის“ თინა ხიდაშელის იმ პოლიტიკურ განცხადებებზე, რომლითაც ისინი ჯაყოს, ანუ მიHას წისქვილის მუშებად იქცნენ და მის წისქვილზე უშვებენ წყალს.

არ დაგიმალავთ და ხიდაშელის პოლიტიკურ სიმწიფეზე არასდროს მქონია დიდი წარმოდგენა. ყოველთვის ვიცოდი, რომ, როგორც ვაშლი არ დაეცემა ვაშლის ხისგან შორს, ისე ხიდაშელიც ვერ გასცდებოდა თავის იმ „ვაშლის ხეს“, რომელიც აგრესიულ ლიბერალიზმს, რესპუბლიკელებს, დამახინჯებულ ევროპულ ღირებულებებს, ბოკერიას, ე.წ. არასამთავრობო სექტორსა და ნორმალური მოქალაქისთვის აშკარად მიუღებელ, სხვა შხამიან ნაყოფს იძლევა.

მეტად სამწუხაროა დავით უსუფაშვილის დაბნეული პოლიტიკური მსჯელობები, გაურკვეველი პოზიცია და აშკარად უაზრო განცხადებები, რომლებიც განათლებული იურისტის მიერ შეფუთული მიHას სისულელეებია.

გაგიკვირდებათ და ოცნების რაღაც გეგმა, რომლითაც თითქოსდა 2019-ში ვადამდელი მაჟორიტარული არჩევნები დაინიშნება, რაც თურმე მათი ხრიკი და „პოლიტიკური მზაკვრობა“ ყოფილა, სრული აბსურდია.

გთავაზობთ ამონარიდებს დავით უსუფაშვილის პასუხიდან სააგენტო 2020 NEWS-ის კითხვაზე:

დანიშნავს ოცნება ვადამდელ მაჟორიტარულ არჩევნებს 2019-ში? მიიღებს ვადამდელ პროპორციულ არჩევნებს 2020-ში! აი, რატომ: კონსტიტუცია ამბობს, რომ არსებული შერეული სისტემით მხოლოდ უახლოესი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, ხოლო ყოველი შემდეგი არჩევნები პროპორციული იქნება. შესაბამისად, თუ 2019 წელს ვადამდელი არჩევნები ჩატარდა, ეს იქნება ბოლო არჩევნები მაჟორიტარული სისტემის გამოყენებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2019 წელს არჩეული პარლამენტიც თუ ვადამდე იქნა დათხოვნილი, 2020 წელს ახალი არჩევნები უკვე პროპორციული სისტემით ჩატარდება. ესაა კონსტიტუციური მოცემულობა, რომელიც ოცნების შესაძლო პოლიტიკური მზაკვრობის (ვადამდელი მაჟორიტარული არჩევნების) შემხედვარე ოპოზიციას მიიყვანს ლოგიკურ დასკვნებამდე.

გაიგეთ რამე?

მე ვერა. რატომ უნდა იქნას 2019 წელს არჩეული პარლამენტი დათხოვნილი და რა მექანიზმით უნდა დაინიშნოს ვადამდელი „მაჟორიტარული“ არჩევნები? ვინ აამოქმედებს ამ მექანიზმს? „თვითონ დავითაია“, თუ ასევე თვითონ ხარატიშვილი?

საოცარია მაგრამ არა მგონია, უსუფაშვილის სჯეროდეს ე.წ. „გაერთიანებული ოპოზიციის“ ძლევამოსილების...

არადა, სჯერა: **ასეთ ვითარებაში, მე, მაგალითად, სრულიად ოპოზიციას შევთავაზებდი ორპუნქტიან შეთანხმებას: 1. 2019 წლის ვადამდელ მაჟორიტარულ არჩევნებში ვმოქმედებთ „ᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ“ ფორმულით, ანუ მაჟორიტარულ ოლქებში წინასწარი შეთანხმებით ვასახელებთ თითო ოპოზიციურ კანდიდატს და ოცნებას არ ვაძლევთ პარლამენტში უმრავლესობის მოპოვების საშუალებას; 2. ერთი წლის ვადაში პარლამენტში შესული ყველა ოპოზიციური ძალის ერთობლივი ქმედებით ვამწიფებთ პარლამენტის დათხოვნას და 2020 წლის ოქტომბერში ვატარებთ პროპორციულ არჩევნებს, რაც კონსტიტუციით უკვე გარანტირებულია.**

აღნიშნული ორპუნქტიანი გეგმით: ა) არ დავუშვებთ ოცნების ერთპარტიული მმართველობის კიდევ 4 წლით გახანგრძლივებას და ქვეყნის გაპარტახებას; ბ) შეიქმნება ერთწლიანი ტექნიკური ოპოზიციური „ერთობა ერთის წინააღმდეგ“, რომლითაც ყველა ერთად მოვიპოვებთ სამართლიან არჩევნებს და ვერავინ ვერ მოიპოვებს ძალაუფლებას — ვერც რევანშისტი, ვერც პრორუსი და ვერც პროევროპელი; გ) საძალაუფლებო საკითხები გადაწყდება 2020 წლის ოქტომბერში პროპორციული არჩევნებით, რომელშიც ღირებულებით პლატფორმებზე გაერთიანებულ პოლიტიკურ ძალებს შორის სამართლიანი კონკურენცია გაიმართება და ამომრჩეველი ყველას თავის ადგილს მიუჩენს — რევანშისტსაც, პრორუსსაც, პროევროპელსაც და ჯერ კიდევ მეოცნებესაც.

მოკლედ, ქვეყანა დაზარალდება ამხელა დავიდარაბით, თორემ წესით უნდა მივუშვათ ოცნება — თხაროს, თხაროს და 2019-ში ვადამდელი მაჟორიტარულ არჩევნებით 2020-ში პროპორციული გამოთხაროს...

ეს ნამდვილად არ არის ე.წ. „თეთრხელთათმნიანი მარქსისტის“ „მსჯელობა“, იგი უფრო საქართველოს მომავლის შესახებ თეიმურაზ ხევისთავის იმ აზრებს ჰგავს, რომელსაც ჯაყოს დუქანში ერთ-ერთ გლეხს უზიარებს.

სრული აბსურდი იყო მისი მსჯელობა ე.წ. „კოალიციური მთავრობის“ შესახებ. სრული აბსურდი, რომლის საბაბსაც ისევ ქართული „ოპოზიციური სპექტრის“ სრულიად არაკომპეტენტური ხალხით დაკომპლექტება განსაზღვრავს.

ვინ უნდა იყოს ეკონომიკის მინისტრი? — გუგავა? ვინ უნდა იყოს შს მინისტრი? — „პადოშა“? გავაგრძელო თუ აზრი არა აქვს?

აქაც ცხადია, რომ კოალიციურ მთავრობას ნაცები შეავსებენ, ანუ ისევ ჯაყოს წისქვილზე მიუშვებენ წყალს.

მიHას უმთავრესი იდეის „შეფუთვად“ შეიძლება ჩაითვალოს უსუფაშვილის მიმართვა ყოფილი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილისადმი, რომელიც რბილმა ადამიანმა შეიძლება რევოლუციური სურვილების მქონე უნიათო ინტელიგენტის ოცნებად ჩათვალოს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხალხის მასობრივი აღშფოთება ნორმალური პოლიტიკური ძალის მიერ იქნება მართული და არა იმ მგლების ხროვის მიერ, რომლებიც მთვარის ამოსვლას ელოდებიან, რათა სოფელს შეესიონ და ყველას ყელი გამოღადრონ.

„რატომ არ უნდა გავთვალოთ, რომ შესაძლოა, პრეზიდენტმა ასეთ ვითარებაში, თანაც იმ ფონზე, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ერთი წელი რჩება, ქართველ ხალხს მიმართოს: — „ოცნება“ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის უფლებას გართმევთ, მე უძლური ვარ, ამ ცვლილებებს წინააღმდეგობა გავუწიო, თუმცა გადავდგები და სანამ ცვლილებები ძალაში შესულა, გაძლევთ შანსს, პრეზიდენტი კიდევ ერთელ აირჩიოთ და კიდევ ხუთი წელი — 2022 წლამდე გყავდეთ თქვენ მიერ არჩეული პრეზიდენტი. ამასობაში, 2020 წელს თავად პარლამენტია ხელახლა ასარჩევი და ვნახოთ, ის მომავალი პარლამენტი წაგართმევთ თუ შეგინარჩუნებთ თქვენი პრეზიდენტის ყოლის უფლებასო. თუ გიორგი მარგველაშვილი გადადგა, კონსტიტუციით დადგენილ 40 დღეში ახალი არჩევნები უნდა ჩატარდეს. თუ ასეთ პირობებში გიორგი მარგველაშვილი ან ვინმე სხვა — არასახელისუფლო კანდიდატი არჩევნებში გაიმარჯვებს, მომავალი პრეზიდენტი, პოლიტიკური წონის თვალსაზრისით, სერიოზული ფიგურა გახდება. შესაბამისად, „ოცნებამ“ შეიძლება მიიღოს გაცილებით ძლიერი პრეზიდენტი და პოლიტიკური პრობლემებიც სწორედ ამის შემდეგ დაიწყება“, — განუცხადა „კვირის პალიტრას“ დავით უსუფაშვილმა.

რაც შეეხება თავდაცვის ყოფილ „მინისტრს“ თინა ხიდაშელს, საერთოდ გაიჭრა შორეულ ნაოსნობაში და ანაკლიის პორტის შესახებ რჩევებსაც იძლევა:

„ანაკლიის პორტი არის **„არ გავახსენდეთ“, „არ გავაბრაზოთ“** (რუსეთი) ამ პუნქტიდან. უცებ აღმოჩნდა, რომ კონსორციუმი სინამდვილეში წარმატებული გამოდგა და მან იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ეს მანამდე იყო ჩაფიქრებული, პრაქტიკულად ყველა მოლაპარაკება დაასრულა. უცებ მან (ბიძინა ივანიშვილმა) აღმოაჩინა, რომ ამბავი, რომელიც მას ეგონა, დროში გაიწელებოდა ან არ მოხდებოდა და ამის გამო მეტ-ნაკლებად მშვიდად უდგებოდა, რეალური აღმოჩნდა. ივანიშვილი პირდაპირ თავდასხმას ანაკლიის პორტზე არ განახორციელებდა. მან ძალიან კარგად იცის, სად, როდის და რა ფორმატში უნდა იბრძოლოს. თიბისი ბანკზე შეტევა იგივე ანაკლიის პორტზე შეტევაა“, — ამბობს თინა ხიდაშელი.

ქალბატონ თინას თავისი „მინისტრობის“ პერიოდში ნამდვილად ჰქონდა შესაძლებლობა, გასცნობოდა ანაკლიის პორტის შესახებ მთავრობაში არსებულ დოკუმენტებს. ჰქონდა შესაძლებლობა, გასაუბრებოდა სპეციალისტებს და კარგად ჩაეხედა არსებულ ვითარებაში.

საინტერესოა, თუ რატომ გადაწყვიტა ქალბატონმა „ექს-მინისტრმა“ ინფრასტრუქტურულ თემებს შეხებოდა და მამუკა ხაზარაძისთვის მხარდაჭერა გამოეცხადებინა. ასევე საინტერესოა, სჭირდება თუ არა ხაზარაძეს მსგავსი არაკომპეტენტური „დახმარება“.

სავარაუდოდ, ხიდაშელის მხრიდან მამლის პრინციპი — მე ვიყივლებ და თუ არ გათენდება, ჩემი საქმე აღარ არისო — ამუშავდა, ანუ „მე მხარს დავუჭერ და ეშველება ხაზარაძეს რამე თუ არა, ეგ უკვე მისი პრობლემააო“.

ასევე ფრიად „საინტერესო რჩევა“ მისცა ივანიშვლს:

„ივანიშვილს თუ უნდა ამ სკანდალს გადარჩეს, ანუ თუ უნდა ქვეყნის სტრატეგიული ინტერესის გაწირვის სკანდალს გადარჩეს, თვითონ ჩადოს ის ფული იმ პორტში, იმ კონსორციუმში, რაზეც მაია ცქიტიშვილი საუბრობდა, რომ დანაკლისია. ეს იქნება ერთადერთი ნაბიჯი, რომელიც აჩვენებს, რომ სინამდვილეში ის ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს კი არ დაუპირისპირდა, არამედ მართლა რაღაც სისხლის სამართლის საქმე იყო და ვიღაცები დაინტერესდნენ, — განაცხადა თინა ხიდაშელმა „ტვ პირველის“ ეთერში.

ქრონიკული პოლიტიკური უნაყოფობა — ასე შეიძლება ვუწოდოთ უსუფაშვილ-ხიდაშელის დუეტის ბერწ კონცეფციებს, რომლებსაც ისინი პერიოდულად შემოაგდებენ ხოლმე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. მნიშვნელობა არა აქვს ცვლადებს, ფორმულა ასეთია: უსუფაშვილი ახმოვანებს მიHას ოცნებას, ხიდაშელი კი — ხაზარაძე-ჯაფარიძისას.

ამ ანატომიურ (უფრო სწორად კი — პათანატომიურ) კვლევას სულ არ წამოვიწყებდი, რომ არა უსუფაშვილის ბოლო ინტერვიუ, რომელშიც, პარტია „შენების“ ლიდერმა სამომავლო პოლიტიკურ პროცესებში „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოორდინაციის შესაძლებლობა არ გამორიცხა.

მეც პირდაპირ ვიტყვი, რომ ივანიშვილმა ყველაზე ცუდი ქველმოქმედება მაშინ გააკეთა, როცა რესპუბლიკური პარტია პოლიტიკურ ველზე გამოაცოცხლა და მთავარი პოსტები ჩამოურიგა.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებით მსჯელობას საქართველოს საპატრიარქოც გამოეხმაურა. საპატრიარქოს თქმით, ისინი მხარს უჭერენ სასულიერო პირების სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების პრაქტიკას.

„სასულიერო პირების სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა და ჩვენ მას მხარს ვუჭერთ. სახელმწიფოში ასევე გარანტირებული უნდა იყოს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, საპატრიარქოს თქმით, აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება, რომ ეს პრაქტიკა არ იქნას გამოყენებული „ფსევდორელიგიური იურიდიული პირების“ მიერ.

„უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა ეს პრაქტიკა არ იქნას გამოყენებული ფსევდორელიგიური იურიდიული პირების მიერ თავიანთი ვიწრო მერკანტილური ინტერესებისათვის, რაც რელიგიურობით მანიპულაციას და აშკარა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას წარმოადგენს“, — ნათქვამია განცხადებაში.

ᲕᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ ᲯᲐᲠᲨᲘ?..

„ᲒᲘᲠᲩᲘᲡ“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე „ნაციონალური მოძრაობის“ იმ წარმომადგენლების სიას აქვეყნებს, რომლებმაც მაღალ თანამდებობაზე, ან საკანონმდებლო ორგანოში ყოფნის დროს საკუთარი შვილები ჯარში არ გაუშვეს.

ჯაფარიძის განცხადებით, შვილები ჯარს აარიდეს **მიხეილ სააკაშვილმა, ალექსანდრე ღომაიამ, დიმიტრი შაშკინმა, კონსტანტინე კემულარიამ, ალექსი ალექსიშვილმა, ზურაბ ნოღაიდელმა, ვალერი ჩეჩელაშვილმა, ვანო მერაბიშვილმა.**

თუ გვინდა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, ღრმაწყლოვანი პორტი სასიცოცხლოა!..

ანაკლიის პორტი: რას ცდილობს ხელისუფლება?

ხელისუფლება აცხადებს, რომ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ვალდებულებების შესრულებას აგვიანებდა და მას მილიონობით დოლარის პირგასამტეხლო აპატია. ეს ინფორმაცია სრულიად ახალია კონსორციუმისთვის, რადგან ჯარიმის საკითხი სახელმწიფოს მასთან არასოდეს განუხილავს. ამასთან, კონსორციუმში აცხადებენ, რომ – მათ მიერ მოთხოვნილი ცვლილებების სანაცვლოდ, ცვლილებებს სახელმწიფოც ითხოვდა. შეუსრულებელ ვალდებულებებზე ლაპარაკი ხელისუფლებამ TBC ბანკთან დაკავშირებული ხმაურიანი მოვლენების კვალდაკვალ დაიწყო.

ვალდებულებების არითმეტიკა და კონტექსტი

„ინვესტორს ჯამში ეპატია დაახლოებით 11,5 მილიონ აშშ დოლარის პირგასამტეხლო“, – უთხრეს „რადიო თავისუფლებას“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

უწყებაში აცხადებენ, რომ ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა მოითხოვა 40-ზე მეტი ცვლილება და გაფორმდა 10 შეთანხმება. ამბობენ, რომ გადავადდა და რიგ შემთხვევებში არაერთხელ გადავადდა, მაგალითად:

- ტექნიკურ-ეკონომიკური და სხვა საპროექტო კვლევების დასრულება;
- სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლა;
- სრული ფინანსური დახურვისა და ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყების ვადები.

პროექტის სირთულიდან გამომდინარე გარკვეული ვალდებულებების გადავადება მართლაც რომ მოითხოვეს, ამას ადასტურებენ ანაკლიის განვითარების კონსორციუმში.

თუმცა როგორც კონსორციუმის გენერალურმა დირექტორმა **ლევან ახვლედიანმა** უთხრა **„რადიო თავისუფლებას“,** ვალდებულებების გადავადებას არანაკლები აქტიურობით ითხოვდა სახელმწიფოც და ეს ძირითადად პორტისთვის მიწების გამოსყიდვის პროცესს უკავშირდებოდა.

- „ვიღაცამ რაღაც რომ გაპატიოს, ჯერ უნდა დაგაჯარიმოს“;
- „ჩვენ ამ დროის მანძილზე არც ერთი თეთრით არ ვყოფილვართ დაჯარიმებული“;
- „იმის გამო, რომ ფინანსური დახურვა გადავადდა, მშენებლობის პროცესი რომ არ დაგვიანებულიყო, კონსორციუმმა წინმსწრებად დახარჯა ათეულობით მილიონი დოლარი“;
- „რამდენი ცვლილებაც ჩვენ მოვითხოვეთ, იმდენი გადავადება თავად მთავრობამ მოგვთხოვა“;
- „ვთვლი, რომ ეს უფრო საქმიანი სამუშაოა და არ არის გარეთ გამოსატანი, მაგრამ თუკი გვინდა, რომ ობიექტურები ვიყოთ, ეს ასეა“.

ანაკლიის განვითარების კონსორციუმის დათვლით, „საინვესტიციო ხელშეკრულებაში, მთლიანობაში, მთავრობის მოთხოვნით და მის სასარგებლოდ შეტანილ იქნა ცვლილების 13 პუნქტი, მათ შორის გადავადებების შესახებ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ სასარგებლოდ კი, ამავე ხელშეკრულებაში შევიდა 16 პუნქტი“.

სამუშაო დეტალების გარეთ გამოტანა

მას შემდეგ, რაც TBC ბანკთან დაკავშირებული ხმაურიანი მოვლენები ბანკის დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ ანაკლიის პორტის თემას დაუკავშირა და საკითხმა მწვავე პოლიტიკური დებატების ჭრილში გადაინაცვლა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა კონსორციუმის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებებზე დაიწყეს ლაპარაკი.

დაპირება, რომ ყველაფერი გასაჯაროვდებოდა, „რუსთავი-2“-ში სტუმრობისას პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემაც დადო.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში „რადიო თავისუფლებას“ დაუდასტურეს, რომ 2014 წლიდან დღემდე კონსორციუმმა 70 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. თუმცა სამინისტროს განცხადებით, მას „არ აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა თანხა იქნა ინვესტირებული პროექტში უშუალოდ საინვესტიციო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ – 2016 წლის ოქტომბრიდან დღემდე“.

ანაკლიის განვითარების კონსორციუმის მიერ დახარჯული 70 მილიონი დოლარი ხარჯების ვრცელი ჩამონათვალის ჯამია:

- 2016 წლის ბოლოსათვის, მხოლოდ პროექტის განვითარებისა და საჭირო ტექნიკური თუ იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებისთვის, კონსორციუმს ინვესტირებული ჰქონდა 3 მილიონი დოლარი;
- ანაკლიის სანაპიროზე სრულად გაიწმინდა 110 ჰექტარი, მოიხსნა ჰუმუსოვანი ფენა, აშენდა 1.5 კმ-იანი წყლის არხი. სამუშაოები შესრულდა ქართული კომპანია „ბლექ სი გრუპი“-ის მიერ;
- ჰოლანდიური კომპანია Van Oord-ის მიერ შემოყვანილმა გემმა „ათენამ“ შეასრულა ზღვის ფსკერის დაღრმავებითი სამუშაოები – ზღვის ფსკერიდან ამოტუმბა 5 მლნ კუბური მეტრი ქვიშა და განათავსა ნაპირზე;
- Van Oord-მა დაამონტაჟა სპეციალური წყლის დრენაჟები 110 ჰექტარ ტერიტორიაზე, რათა მომხდარიყო აღნიშნული ტერიტორიის წყლისგან გამოთავისუფლება. ვერტიკალური დრენაჟების სიგრძეა 3500 კილომეტრი.
- კომპანია Berger ABAM ახორციელებს პროექტის დეტალურ დიზაინს, რომლის უდიდესი ნაწილი უკვე დასრულებულია და სულ მალე წარედგინება სახელმწიფოს.
- მომზადდა 19 სხვადასხვა ტიპის კვლევა, რომელიც წარმატებით იქნა დადასტურებული სახელმწიფოს მიერ.

ხელისუფლება ცდილობს, რომ TBC ბანკის დამფუძნებლებისთვის 11 წლის წინანდელი ტრანზაქციის გახსენებასთან და მძიმე ბრალდებებთან დაკავშირებული ხმაური მკვეთრად გამიჯნოს ანაკლიის პორტისგან. თუმცა ანალიტიკოსებისთვის ნათელია, რომ ეს არის სწორედ ის საკითხი, რომელმაც დარტყმა მიაყენა ანაკლიის პორტის ინვესტორის იმიჯს.

ანაკლიის განვითარების კონსორციუმში შედიან:

- **TBC Holding-ი (საქართველო),**
- **Conti International-ი (აშშ),**
- **SSA Marine-ი (აშშ),**
- **British Wondernet Expres-ი (ცენტრალური აზია),**
- **G-Star Ltd-ი (ბულგარეთი).**

ისედაც უამრავ შეკითხვასა და პორტის დამფინანსებლების დაფრთხობის საფრთხეს ახლა უკვე ხელისუფლებამ დაამატა აქტიური ლაპარაკი კონსორციუმის მიერ ვალდებულებების არშესრულებასთან დაკავშირებით. რას შეიძლება ემსახურებოდეს ეს?

რა აქვს ჩაფიქრებული სახელმწიფოს?

ანაკლიის განვითარების კონსორციუმში აცხადებენ, რომ გარკვეული გადავადებების მიუხედავად, ჯერ კიდევ არის დრო, რომ ყველაფერი მოესწროს და ანაკლიის პორტმა პირველი გემები 2020 წლის ბოლოს მიიღოს. პორტის პირველი ფაზისთვის სულ საჭიროა 620 მილიონი დოლარი.

კონსორციუმში ამბობენ, რომ თანხა სრულად არის მობილიზებული.

ოთხი მსხვილი საერთაშორისო ბანკი მზად არის, რომ ჯამში 400 მილიონი დოლარის სესხი გამოყოს, თუმცა ისინი რისკების დაზღვევის დამატებით გარანტიებს ითხოვენ. ხელისუფლებას მათ გაუგზავნეს 8-პუნქტიანი მოთხოვნები, მათ შორის არის – ტვირთბრუნვის გარანტიის მიღებაც.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებით, სახელმწიფოსთვის ეს დამატებითი, წინასწარ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების აღებას გულისხმობს:

- სახელმწიფოს მიერ ინვესტორის კომერციული რისკების დაზღვევა;
- პორტის განვითარების ფაზების ახლებური რეგულირება;
- საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;
- ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ კრედიტორების რისკის დაზღვევა.

კონსორციუმში კი განმარტავენ, რომ ავტორიტეტიანი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები სახელმწიფოს იმ რისკების დაზღვევას სთხოვენ, რომლებიც ძირითადად ქვეყნის სტაბილურობისა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს საერთო პრინციპებიდან გამომდინარეობს. ვინც იხდის დიდ ფულს, მას აინტერესებს:

- ეკონომიკურ სტაბილურობა;
- პოლიტიკური უსაფრთხოება;
- სატარიფო პოლიტიკის მდგრადობა;
- მშვიდი გარემო.

ტვირთბრუნვის დაზღვევის შესახებ კონსორციუმში აცხადებენ:

- „ეს არ არის სახელმწიფო გარანტია პროექტისთვის. ამ მოთხოვნის მიხედვით, მთავრობას აქვს უფლება, მაგრამ არა ვალდებულება, გადაიხადოს სესხი რისკის დადგომის შემთხვევაში და თუ ამ უფლებას არ გამოიყენებს, შეუძლია პროექტი თვითონ გადაიბაროს“;
- „ამ გარანტიის მიხედვით, რისკის დადგომის შემთხვევაში, მთავრობის მიერ დაფარული სესხის ნაწილს კონსორციუმი სამომავლო შემოსავლებიდან დაუბრუნებს“;
- „კონსორციუმის აქციონერები საკუთარ თავზე იღებენ მთავარ რისკს და ვიდრე სრულად არ მოხდება სასესხო თანხების გასტუმრება, მანამდე აქციონერები დახარჯულ თანხებს ვერ ამოიღებენ“.

საფინანსო ინსტიტუტებთან 8-პუნქტიან მოთხოვნასთან დაკავშირებული მოლაპარაკების პირველი რაუნდი 8 თებერვალს გაიმართა. სამინისტროს განცხადებით, სახელმწიფო განაგრძობს ბანკებთან მოლაპარაკებას და სურს, რომ მოხერხდეს შეთანხმება „ურთიერთსასარგებლო პირობებზე“.

თუკი ეს მართლაც ასეა და მონდომება გულწრფელია, მაშინ ანაკლიის განვითარების კონსორციუმში უკვირთ, თუ რატომ ლაპარაკობს ალტერნატიულ გზებზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – ჯერ ხომ მოლაპარაკებები დასრულებული არ არის.

17 მარტს, მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედის კვირაში“ გასულ სიუჟეტში განაცხადა, რომ ანაკლია აუცილებლად აშენდება და რომ „დაფინანსების ნაწილში ბევრი ალტერნატივაა ამ თემასთან დაკავშირებით“. მინისტრმა დაასახელა ორი ალტერნატივა:

- „ალტერნატიული, ახალი კონკურსის გამოცხადება ისეთი ახალი ინვესტორის მოსაზიდად, რომელსაც ექნება უფრო მეტი შესაძლებლობა იმისთვის, რომ დაფინანსება მოიზიდოს ამ პროექტისთვის“;
- „მეორე ალტერნატივაა, რომ სახელმწიფომ თავად ააშენოს ეს პორტი“.

სახელმწიფოს ვალდებულებები

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნათა შორისაა ასევე 2020 წლისთვის პორტამდე გზისა და რკინიგზის მიყვანა, რაც სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებაა.

თუმცა რეგიონული ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეგიდით გამოცხადებული კონკურსი უკვე რამდენჯერმე ჩაიშალა. უწყებაში „რადიო თავისუფლებას“ განუმარტეს, რომ ბოლო კონკურსი თებერვალში გამოცხადდა და გამარჯვებული სავარაუდოდ მარტში გამოვლინდება.

სახელმწიფოს წვლილი ჯერჯერობით მხოლოდ მიწის ნაკვეთების გადაცემით შემოიფარგლება. ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და კერძო პირებისაგან გამოსყიდული მიწის ნაკვეთების გამოსყიდვაში სახელმწიფომ 58.6 მილიონი ლარი დახარჯა. თუმცა, ხელშეკრულების მიხედვით, მთელი ტერიტორია გაშენებული, წარმატებული პორტიანად 52 წელში ისევ სახელმწიფოს დაუბრუნდება.

ჯერ არ მოსულა ანაკლიის პორტის მიერ გრძელვადიანი (22-წლიანი) სუბორდინირებული 100 მლნ აშშ დოლარის იმ სესხის ათვისების დრო, რომელიც მას საპარტნიორო ფონდმა გამოუყო.

ეს არის ძვირად ღირებული სესხი, რომლის საპროცენტო განაკვეთიც, წინასწარი შეთანხმებით, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი სესხის საშუალო საპროცენტო განაკვეთზე 2,5 %-ით მეტი უნდა იყოს.

ლელა კუნჭულია

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ საგანგებო განცხადება!

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, გადაცემა „იმედის კვირაში“ 17 მარტს გასულ რეპორტაჟს ეხმაურება და განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ პორტის მშენებლობის, მიმდინარე ეტაპისა და მასთან დაკავშირებული თემების ირგვლივ მცდარი და დაუზუსტებელი ინფორმაცია გახმიანდა.

აღნიშნულ კონტექსტში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ მშენებლობისა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ავრცელებს.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ 2016 წლიდან დღემდე, მას შემდეგ, რაც მთავრობასთან საინვესტიციო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, კონსორციუმს სამშენებლო ვადები არ დაურღვევია. მეტიც, 2018 წელს ფინანსური დახურვის დასრულებამდე, მისმა აქციონერებმა სამშენებლო სამუშაოები საკუთარი ხარჯებით დაიწყეს. დღეის მდგომარეობით, კონსორციუმს პროექტში 70 მილიონი დოლარის ინვესტიცია აქვს განხორციელებული.

მშენებლობის მიმდინარე სტატუსი:

2018 წელს მსოფლიოში უდიდესმა დამაღრმავებელმა გემმა ანაკლიის პორტის აკვატორიის ფსკერი დააღრმავა და 5 მლნ კუბური მეტრი ქვიშა ზღვის ფსკერიდან ნაპირზე გადაიტანა. ამ ეტაპზე 110 ჰექტარის ფართობზე მიმდინარეობს სწორედ ამ რაოდენობის ქვიშის ჭაობიან ტერიტორიაზე დაწდომის პროცესი, რათა ნიადაგმა მოიპოვოს სათანადო, 95%-იანი სიმკვრივე და მდგრადობა და მზად იყოს მძლავრი ინფრასტრუქტურის აშენებისთვის. ეს პროცედურა დეკემბერში დაიწყო და დაახლოებით 6 თვეს მოითხოვს.

ამავე დროს, კომპანია აქტიურად მუშაობს სხვა მიმართულებებით: რამდენიმე დღეში გამოცხადდება პორტის საკონტეინერო ტერმინალის ამწეების პროვაიდერისთვის საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული. მალე დასრულდება საერთაშორისო ტენდერი გენერალური კონტრაქტორის შერჩევაზე. კონსორციუმმა USAID-თან პარტნიორობით უკვე დაიწყო ანაკლიის ეკონომიკური განვითარების პროგრამა და მის ფარგლებში გახსნა ტრენინგცენტრი, იწყება გრანტების გაცემა.

ფინანსური დახურვა და ცვლილებები ხელშეკრულებაში

ანაკლიის პორტის მშენებლობის პირველი ფაზისთვის „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ 620 მილიონი აშშ დოლარის მობილიზება მოახერხა და მუშაობას განაგრძობს 4 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან: EBRD — ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, OPIC — ამერიკის კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაცია, ADB — აზიის განვითარების ბანკი, AIIB — აზიის ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო ბანკი. მათ შეისწავლეს პროექტი, ხელი მოაწერეს დაფინანსების მანდატს და ახლა საბოლოო მოლაპარაკებების ეტაპი მიმდინარეობს.

I ფაზის ფინანსური დახურვა, პროექტის სირთულიდან გამომდინარე და ობიექტური მიზეზების გამო, 2-ჯერ გადავადდა.

ასევე, 600-გვერდიან საინვესტიციო ხელშეკრულებაში სხვადასხვა დროს შევიდა ცვლილებები, რომლებიც საჭირო გახდა პროექტის ირგვლივ არსებული ობიექტური გარემოებების გამო. ისინი ყოველ ჯერზე მთავრობამ მოისმინა, განიხილა და შემდეგ მათ დასთანხმდა.

აქვე გვინდა, რამდენიმე რიცხვი გავიხსენოთ:

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მთავრობასთან თანამშრომლობის პროცესში საინვესტიციო ხელშეკრულებაში ცვლილებების ნაწილი კონსორციუმის სასარგებლოდ შევიდა, ხოლო ნაწილი — მთავრობის მოთხოვნით და მათ სასარგებლოდ.

საინვესტიციო ხელშეკრულებაში, მთლიანობაში, მთავრობის მოთხოვნით და მის სასარგებლოდ შეტანილ იქნა 13 პუნქტი, მათ შორის გადავადებების შესახებ, რომლებსაც სხვადასხვა პროცესზე მთავრობა ითხოვდა. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ სასარგებლოდ, ცვლილების სახით, ამავე ხელშეკრულებაში შევიდა 16 პუნქტი.

ამასთანავე, კატეგორიულად უარვყოფთ ინფორმაციას, თითქოს ცვლილებების პროცესში, საქართველოს მთავრობამ კონსორციუმს 11 მილიონი დოლარის პირგასამტეხლო აპატია. ამგვარ ჯარიმებს ადგილი არ ჰქონია.

რისკების დაზღვევა

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საერთაშორისო ბანკები გარანტიის სახით სახელმწიფოსგან ტვირთბრუნვის რისკის დაზღვევას ითხოვენ. ეს საკითხი საფინანსო ინსტიტუტებმა თითქმის ერთი წლის წინათ დააყენეს — მანდატის ხელმოწერისთანავე.

ზემოჩამოთვლილი საერთაშორისო ბანკები უკვე მრავალი წელია, საქართველოში სხვადასხვა პროექტში მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ. მათ მიერ დაფინანსებული და წარმატებით განხორციელებულია პროექტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ ინსტიტუტების მაღალი რეპუტაცია ხაზს უსვამს მათ მიერ წაყენებული მოთხოვნების ლეგიტიმურობას.

შეგახსენებთ, რომ ტვირთბრუნვა არ არის მხოლოდ პორტზე დამოკიდებული გარემოება. გრძელვადიან პერსპექტივაში, ის დამოკიდებული იქნება ქვეყნის მაკროეკონომიკურ ზრდაზე, ან პოლიტიკურ სიტუაციაზე. არსებობს ფაქტორები, რომელთა დაზღვევა მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქციონერები საკუთარ თავზე იღებენ მთავარ რისკს და სახელმწიფოსგან გარანტიას მხოლოდ საფინანსო ინსტიტუტები მათ მიერ გამოყოფილ სესხზე ითხოვენ.

ინტერესები

გვინდა, ასევე, შეგახსენოთ, როგორ დაიწყო ხმაური ანაკლიის პორტის ირგვლივ: საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საჯაროდ განაცხადა ბიზნესმენების — მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის დაუსაბუთებელ ფინანსურ ბრალდებებზე, რომლებიც, ასევე, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ დამფუძნებლები არიან.

მთავრობის ამ ნაბიჯმა პროექტის დამფინანსებელ ინსტიტუტებს ლოგიკური კითხვები გაუჩინა. ხმაური პროექტის ირგვლივ მთავრობამ დაიწყო, რამაც პროექტის მიმდინარეობას ხელი შეუშალა. ასევე, მთავრობამ გაასაჯაროვა კონსორციუმთან მოლაპარაკებების დეტალები. საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის წარმატებით გაგრძელება, პირველ რიგში, ჩვენს ინტერესს წარმოადგენს.

პროექტის გაგრძელება

შეგახსენებთ, რომ ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის გაგრძელება ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის სასიცოცხლოა. პროგნოზები გვიჩვენებს, რომ 2020 წლისთვის საქართველოში მოთხოვნა ტვირთბრუნვასა და საკონტეინერო გადაზიდვაზე მნიშვნელოვნად გაიზრდება. თუ ამ დროისთვის ღრმაწყლოვანი პორტი არ გვექნება, ახალი შესაძლებლობები ჩრდილოეთისა და სხვა დერეფნებზე გადანაწილდება და გვერდს აგვივლის.

თუ ანაკლიის პორტის მიმდინარე მშენებლობა შეფერხდება, ზემოაღნიშნული საშიშროება რეალურია. ხოლო ანაკლიის პორტის განვითარებაში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ ჩართულობის შეფერხებით, ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა მრავალი წლით უკან დაიწევს, თუ საერთოდ არ შეწყდა.

ასევე, არასათანადოდ მიგვაჩნია პროექტის დასრულებისთვის მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გაღება და მისი კონსორციუმის გვერდის ავლით გაგრძელება. მით უფრო, იმ ვითარებაში, როცა კონსორციუმმა პირველი ფაზისთვის საჭირო 620 მილიონი აშშ დოლარის სრულად მობილიზება შეძლო და პროცესის დასრულებამდე სულ ერთი ნაბიჯია დარჩენილი.

აქციონერები

„თიბისი ჰოლდინგთან“ ერთად, პროექტის აქციონერები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები, მათ შორის: „კონტი ჯგუფი“, რომლის ინვესტიცია 5.2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს და „სსა მარინი“, რომელიც პროექტის სტრატეგიული ინვესტორია და 20 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას ახორციელებს.

შეგახსენებთ, „სსა მარინი“ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი საკონტეინერო ტერმინალ-ოპერატორია, რომელიც 250 ლოკაციაზე მუშაობს. ის მსხვილი ჯგუფის „კარიქსის“ შვილობილი კომპანიაა, რომლის ადგილობრივი (აშშ-ში) პროექტები ხორციელდება „სსა მარინის“, ხოლო საერთაშორისო პროექტები (მსოფლიოს 5 კონტინენტზე) „სსა ინთერნეიშენალის“ საშუალებით. „სსა მარინი“ საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ისევე როგორც სხვა ლოკაციებზე, საქართველოშიც აფუძნებს ადგილობრივ კომპანიას. ხოლო მისი საოპერაციო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად „სსა მარინი“ 25 მლნ აშშ დოლარის კორპორაციულ გარანტიას გამოყოფს“, — ნათქვამია „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ განცხადებაში.

ჟურნალისტებთან ერთად, მთიან აჭარაში

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროექტის ფასდაკლების კვირეულის ფარგლებში აჭარაში პრესტური გაიმართა. ბათუმში მდებარე სასტუმროების დათვალიერების შემდეგ ჟურნალისტებმა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან მარიამ ქვრივიშვილთან და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან სულხან ღლონტთან ერთად მახუნცეთის ჩანჩქერი დაათვალიერეს.

მედიატურის მონაწილეებმა შერვაშიძეების მარანი მოინახულეს, სადაც 7 სახეობის ღვინის დეგუსტაცია მოეწყო. პრესტურის მონაწილეები ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისშიც ჩავიდნენ, სადაც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ჟურნალისტებთან ერთად ადგილობრივი კერძების მომზადებაში მიიღო მონაწილეობა.

„დღეს ჩვენ ვიმყოფებოდით მთიანი აჭარის ულამაზეს ადგილებში, სოფელ მერისში ვეწვიეთ საოჯახო სასტუმროს, რომელმაც 2018 წელს 3 ათასზე მეტ ტურისტს უმასპინძლა, რაც ყველაზე სასიხარულოა, მათ ჩვენი მიზნობრივი ბაზრებიდან ესტუმრნენ ტურისტები, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებიდან, აშშ-დან და ახალი ზელანდიიდანაც კი. ამ საოჯახო სასტუმროში 3 სახის მომსახურებას სთავაზობენ სტუმრებს: ეს არის დაბინავება, ფოლკლორის შესწავლა და კულინარიული კურსები. ჩვენი მიზანია, როგორც ამ ოჯახისთვის, ასევე გვერდზე მყოფი სხვა ადგილობრივებისთვის მაქსიმალურად გავზარდოთ ტურისტების რაოდენობა“.

ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი ბირბიჩაძის ინიციატივით, საკრებულოსა და „„ავერსი-ფარმა“-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბირბიჩაძემ და ფარმაცევტული კომპანია შპს „ავერსი-ფარმას“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ფურცელაძემ მოაწერეს.

მემორანდუმის ფარგლებში, თბილისში რეგისტრირებულ იმ მოქალაქეებს, რომლებიც რაიონულ გამგეობებს მედიკამენტების შეძენისთვის დახმარების თხოვნით მიმართავენ, „ავერსი ფარმა“ წამლებს შეღავათიან, ფასდაკლების დღეებში არსებული ფასებით მისცემს.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ კომპანია „ავერსს“ თანამშრომლობისა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოჩენისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ დღეს გაფორმებული მემორანდუმის შედეგად, დედაქალაქის მცხოვრებლები მედიკამენტების შეძენისას მნიშვნელოვან შეღავათებს მიიღებენ.

ღმერთმა გვიმრავლოს მეგობრები!

იქ, მზესთან ახლოს

„მერანმა“ გამოსცა თვალსაჩინო ყაზახი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდი მეგობრის ბახიტ გაფუს (ბახიტ გაფუს ძე კაირბეკოვი) ლექსები (პროექტის ავტორი და მთარგმნელია მაყვალა გონაშვილი, მთარგმნელია აგრეთვე მაია მახარაშვილი, მხატვარი გივი თოიძე, რედაქტორი მანანა გორგიშვილი, კონსულტანტი ვლადიმერ სარიშვილი, დამკაბადონებელი თამარ ტყაბლაძე).



კრებულის წარდგენა გაიმართა 11 მარტს მწერალთა სახლში. ქვემოთ ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ კრებულისთვის დართულ მაყვალა გონაშვილის წინასიტყვაობას და რამდენიმე თარგმანს ამავე კრებულიდან.

ნათელი სულის ბიოგრაფია

ყაზახეთში მხოლოდ ერთხელ ვყოფილვარ, ისიც ოთხმოციან წლებში ახალგაზრდა პოეტთა ფესტივალზე. იმ ასაკში ვიყავი, ყველაფერი რომ გხიბლავს და გახარებს. მომწონდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული პოეტების გაცნობა, ერთმანეთისთვის ლექსებით თავის დამახსოვრება, ჩემთვის სხვადასხვა ენაზე ნათქვამი ქათინაური, უდაბნოს ხილვა, ცხენით ჯირითი, იურტაში ერთი ლანგრიდან ცხვრის ხორცის დაგემოვნება, კუმისი, მეცხვარის მრავალსულიანი ოჯახი და დამბრაზე ნამღერი სევდიანი სიმღერა, უდაბნოს ღამე და ვარსკვლავებით მოჭედილი ცის გუმბათი, უცნაური განცდა — ხელს გაიწვდენ და ვარსკვლავს მუჭში მოიქცევ. ყველაფერი მშვენიერი იყო. მაგრამ ის, რაც დღემდე სულს მითბობს, ფესტივალის პირველი დღე იყო.

ალმა-ატაში ჩავფრინდი, ველოდებოდი, რომ აეროპორტში ფესტივალის ორგანიზატორები დაგვხვდებოდნენ. ორი გოგონა შევნიშნე ხელში დიდი თაიგულით. გავიფიქრე, ესენი იქნებიან ჩვენი მასპინძლები-მეთქი. აღმოჩნდა, დიდი ხნის უნახავ დას ელოდებოდნენ. მიმასწავლეს სასტუმრო, სადაც ფესტივალის მონაწილეები უნდა დაბინავებულიყვნენ და დამემშვიდობნენ.

ტაქსის გასაჩერებლად წავედი. „მოიცადე, მოიცადე“ — მომესმა ხმა. გოგონები დაძრულ ტაქსს აედევნენ. გავჩერდით. ჩემთან მოირბინეს და დისთვის შერჩეული ყვავილების თაიგული გამომიწოდეს.

ასე იწყება უცხო ქვეყნის და მისი მოქალაქეებისადმი პატივისცემისა და სიყვარულის განცდა. პირველი შთაბეჭდილება წარუშლელია და მთელი ცხოვრება გამახსოვრდება. არსებობს უჭკნობი ყვავილებიც, რომლებიც სულში მარადიულად შრიალებენ და გახსენებენ სხვა ქვეყნის სურნელსა და მშვენიერებას.

როცა ყაზახი პოეტის ბახიტ გაფუს ლექსები გადმომცეს სათარგმნელად, ფიქრში სწორედ ის დღე ამომიტივტივდა და ყაზახი ხალხისადმი სიყვარული და პატივისცემა შემახსენა. მერე მწერლის ბიოგრაფიაც გადავიკითხე: — პოეტი, სცენარისტი, არაერთი აკადემიის წევრი, მრავალი ჯილდოსა და წოდების მფლობელი და ლაურეატი, კინოსტუდიის დირექტორი... ერთი სიტყვით, თავისი ქვეყნის რჩეული შვილი და ჩემი ქვეყნის მოყვარული ადამიანის ლექსები უნდა გამეცნო საქართველოსთვის, იმ ქვეყნისთვის, რომელსაც თავად ბატონი ბახიტი კარგად იცნობს და მრავალი მეგობარიც ჰყავს. გამახსენდა პაპაჩემის ნათქვამი: „ქვეყანა, სადაც ერთი ადამიანი მაინც გელოდება, მშობლიური ქვეყანააო“. ბახიტ გაფუს საქართველოში მრავალი ადამიანი ელოდება და პატივს სცემს, ასე რომ, მისთვის ჩემი ქვეყანა მშობლიურია. როგორც თავად წერს: „გამოვიდა ჩემი წიგნი „მზესთან შესახვედრად“, სადაც პირველად დაიბეჭდა ჩემი ლექსები საქართველოზე. კრებულის სათაური ასახავს ჩემს მისწრაფებას, ვიყო საქართველოში — მზესთან ახლოს, რაც მთავარია, სულიერ სითბოსთან თანაზიარი, რომელიც თქვენმა ბუნებამ და, რა თქმა უნდა, ადამიანებმა მაჩუქეს“.

ამ სიტყვების წაკითხვამ კიდევ უფრო გამიმძაფრა პასუხისმგებლობის გრძნობა...

და აი, დავამთავრე ლექსების თარგმნა. ახლა ისეთი განცდა მაქვს, თითქოს უცნობთან სტუმრად მივდიოდი, მის კარგად გასაცნობად კი, სანამ გზას დავადგებოდი, მისი ლექსებადქცეული დღიურები გადავიკითხე, მისი სიზმარ-ცხადის გასაყარზე დაბადებული ემოციები, ბავშვობიდან დღემდე გადატანილი სიხარული და მწუხარება... მერე მისი მშობლიური მხარე გავიარე და პოეტის თვალით დანახული ჩემი სამშობლოც შევათვალიერე, პოეტის ნაცნობ-მეგობრები დავიახლოვე, მისი ბებოს ხელების სითბოთი მეც გავთბი და დედამისის ლოცვამ მეც დამიფარა და როცა კარი ბახიტმა გამიღო, თითქოს ასე მივესალმე: „გამარჯობა, ჩემო უცნობო ნათესავო“. დიახ, მე და ბახიტ გაფუ ლექსებმა დაგვანათესავა. მერე რა, რომ ჯერ ერთმანეთს არც კი შევხვედრივართ. ასეა, როცა სათარგმნი მასალა მოგწონს და გულით თარგმნი, იწყებ ავტორზე ფიქრსაც, ლექსი ხომ თავისებური სულის ბიოგრაფიაა. ჰოდა, შენც ცდილობ, ავტორის ფიქრების თანაზიარი გახდე, მისი ცხოვრებით იცხოვრო, მისი განცდებითა და სიტყვებით ნაქსოვი ლექსის პერანგი შენი ენის თარგზე გადმოაწყო, ისე, რომ არც პირვანდელი ელფერი დაუკარგო და არც შენი ქვეყნის მკითხველისთვის დატოვო გაუცხოებული და ემოციებისაგან დაცლილი.

მჯერა, ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით მიიღებს სულით-ხორცამდე დახვეწილი ინტელიგენტის და ფიქრიანი პოეტის ამ მშვენიერ კრებულს — „იქ, მზესთან ახლოს“, წიგნს, რომელშიც საკმაოდ დიდი ადგილი საქართველოს, მის ბუნებას, ტრადიციებს და ადათ-წესებს ეძღვნება. სიყვარულითაა სავსე ქართველი მეგობრებისადმი მიძღვნილი ლექსებიც.

და რაზეც არ უნდა წერდეს პოეტი, ამა ქვეყნის ამაოებასა თუ ადამიანთა მარადიულ სევდაზე, შემოდგომის უკანასკნელი ფოთლის სიმარტოვესა თუ ერთ დისკში ჩატეულ შემოქმედის ბობოქარ ცხოვრებაზე, სიყვარულით გამოწვეულ ტკივილსა თუ ბავშვობიდან გამოყოლილ წინაპართა უსათნოეს სახეებსა და მონატრებაზე, ყველგან გაოცებს ბახიტ გაფუს სიყვარულის უსაზღვრო ნიჭი. ყველა ლექსს ჭეშმარიტი პოეტის ტვიფარი აზის.

აკი გვეუბნება ინდოთა სიბრძნე: „თუ გწამს, თუ გიყვარს, თუ იტანჯები, შენ ადამიანი ხარ“. თუ ამ სამებას ბახიტ გაფუს შემოქმედებით ენერგიასაც დავუმატებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი დიდ ადამიანობასთან ერთად, დიდი ხელოვანია.

ბედნიერი ყოფილიყოს ბახიტ გაფუს ლექსთა კრებულის ქართველ მკითხველთან ზიარება.

მაყვალა გონაშვილი

ბახიტ გაფუ

დედას

მონკე-კიზი შაიზადეს

სანთლის სითბო მომატარე სახეზე,
დამიცავი, დამიფარე, გვედრი,
ამ უგულო, ამ დამთრგუნველ ყოფისგან
შენი სუნთქვით, გთხოვ, განმკურნე, დედი.
ეგ ხელები ფიალაა მადლისა,
შენი სული კი არსობის პური,
სულით მრმა ვარ, დამანახე, დედი, გზა
და ცრემლ-ნემსით გამიმთელე გული.
ჩემს სიმშვიდეს ინახავდი სიზმრებში,
ლოცვის მადლით მედმა არ გამრიყა,
მე ვიცოდი, დღისითაც და ღამითაც,
ჭირშიც, ლხინშიც, მუდამ ჩემთან იყავ.
და ცხოვრების ოკრო-ბოკრო გზაწვრილზე
არაერთხელ შემაშველე ხელი,
შენ ხარ ჩემი რეალობის სიზმარი,
ჩემი სიზმრის ფრთები მოუღლელი.
ჩემს ბილიკზე მხვდები ყოველ განთიადს,
ვიცი, შენ ხარ, ცვარის ცრემლი გამხელს,
ვით ტკივილის კვნესას, როგორც სიხარულს,
დავატარებ შენგან მოძღვნილ სახელს.

თამადობა

ნიკა ოქრიაშვილს

მე შენგან ვსწავლობ, ვით ვაქციო ცხოვრება ლხენად,
გულუხვი სუფრის თამადობას და მასპინძლობას,
მე შენგან ვსწავლობ მეგობრების გულით დალოცვას,
ჩემთვის ეს ბედის წყალობაა, ვფიცავ შენს ძმობას.
მე შენგან ვსწავლობ ჩახუტებას, ვაჟკაცურ ამბორს,
მე შენგან ვსწავლობ დარდის თმენას და გაცინებას,
მე შენგან ვსწავლობ უმაღლესი ძალების რწმენას
და გარდაცვლილთა ცოცხალივით მოხსენიებას.
ვსწავლობ სიყვარულს უსაზღვროს და დაუსაბამოს,
ვსწავლობ ცხოვრების სიბრძნესა და სიტკბო-სიმწარეს,
ვით გავაცილო გარდასული დღეები — ვსწავლობ,
დღეს, როგორც სტუმარს, როგორ დავხვდე,
შენგან ვისწავლე.

ძვირფასი ქვების მკურნალ ქალს

ნათია გოცირიძეს

შენ კურნავ ქვას და
უბრუნებ გრძნეულებას,
იბრწყინოს მეფურად,
განდევნოს სნეულება,
როგორ არ შემშურდეს ქვაგრილის ბედისა,
ვულკანში შობილა, გულში ლავა უთრთის -
მან წყლის დედაარსი ცეცხლში არ დაკარგა,
ყინული და ალი — სიხარული უფლის!
გარს შემოხვევია ქვას შენი ალერსი,
რჩეული სუნთქვითაა თილისმა გამთბარი,
ახლა თვით მკურნალი ქვამ უნდა დაგიცვას
და შენს ნათელ მზერას არიდოს ავთვალი.

თარგმნა მაყვალა გონაშვილმა

ჯვარს ვხედავ ცხოველს, ცად ამაღლებულს!

გიორგი ჩალაძე-უმცროსს

ვაზო, ცხოველმყოფელო, ქვას გახვრეტ და აღსდგები,
ნანგრევებშიც ამოხვალ, მიწა ხსნას გევედრება,
ხსოვნა სადაგ დღეთა და სისხლიანი წარსული
შენთან ერთად ცოცხლდება ჩამონგრეულ კედლებთან.

შენთან ერთად აღდგება ერი გამორჩეული,
შენს სიმწვანეს კი არა, უდრეკ ძალებს მიჰყვება,
ყურადღებით შეისმენს შეგონებას წარსულის...
მთებიც ახალ სიმღერის მოძახილით ივსება.

შენ — სიმბოლო ხარ აღორძინების,
შენ — ნიშანი ხარ სიკეთის გზათა,
შენ — ნინოს ხმა ხარ, წმინდა ამბავი
და სალოცავი ბარის და მთათა.

შენს ტეხილ რტოთა მყუდრო ჩეროში,
შენს ხვეულებში, წნულებში დალალთ,
ჯვარს ვხედავ ცხოველს, ცად ამაღლებულს,
ეჭვის და შიშის მძლესა და მარადს!

მე გაზაფხულზე მცხეთას გადვუფრენ

გიორგი ჩალაძე-უფროსს

ათქვირებულა ნაზად სიმწვანე.
შორეულ ყინულთ სიგრილე მთისა.
და შემოსილან ვით გერმით ხენი, —
ჯერ კიდევ გულში ეკვრიან სიზმარს.

სული იღვიძებს, ვითარც ფრინველი,
ვით მოგზაური შორეულ ქვეყნის,
ო, რა იფრქვევა ნეტავ, ჰაერში
ნაიარევს რომ მალამოდ ეკვრის?

რა უალერსებს მზერას, სმენას, გულს?
გავგლეჯ პეპლის პარკს — ტყვეობას ზართა.
მე გაზაფხულზე მცხეთას გადვუფრენ,
და დავივიწყებ მტვერს დაღლილ გზათა.

ჯვარი

I

ცოცხალი სხივი, ნათება ჯვრისა,
მიზიდულობა უძველეს ქვათა,
აშიშვლებს შრეებს დროთ ქროლვის მიღმა
ნებთა, ამბორთა, ლოცვათა, ქართა
და საიდუმლოს გაგვიმხელს თვისას.
ის გზა შორია, ვერ აღწევს ყველა
სათავეს — უფალს, ნათელს, სალოცავს...
ტაძრის გუმბათთან ღრუბელი ელავს,
გაზაფხულია, წვიმათა ღელვა,
წვიმა — მადლია, ზენის დალოცვა!

II

ვით მშვენიერ მთიდან გაცხადება წმინდა
მარადიულ ლოცვით უფლისაკენ მიდის,
ისე ჯვრის მკლავები ღვთის სარკეში მოჩანს,
საჭვრეტელი ღვთისა, — რა მშვიდია იგი!

თარგმნა მაია მახარაშვილმა

„დრო ის უყვარს, ო

ფუჭად ნახჯვენ“



ასე ამბობდა ჰენრი ფორდი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

ბიზნესსა და სამუშაოზე

შეუფერებელი დამსაქმებელი კიდევ უფრო დიდ უწესრიგობათა და პრობლემათა მიზეზი ხდება, ვიდრე შეუფერებელი მუშაკი.

* * *

მყიდველის მხრივ მეტის გადახდაზე დაუარება კარგი მიძგია მიზნესისთვის.

* * *

საჭირო მზადყოფნა გარკვეული ზარალისთვის, რაც გარდაუვალია მიზნესის ოპტიმიზაციის პროცესში, მაგრამ ზარალით, ცხადია, მხოლოდ ის იზარალებს, ვისაც დასაკარგავი რამე აქვს. თვითონ სიტყვა „ზარალი“ ყველას აშნევს. სინამდვილეში არცრა ზარალი არ არის. არის მხოლოდ უარი დღევანდელი მოგების გარკვეულ ნაწილზე მომავალში მევრად მეტი მოგების გულისთვის.

* * *

სადაც მენეჯმენტი სასურველ დონეზე ვერ არის, იქ მუდამ მუშაკთა სიჭარბეა, რომელნი მუშაკნიც თავს წაზარმაცების უფლებას აძლევენ, საზოგადოება კი ამას თავისი ჯიბიდან იხდის.

* * *

მაღალი ხელფასების გადახდა მიზნესის გაძღოლის ყოვლის უფრო მომგებიანი ხერხია.

* * *

კომპანია, რომელიც ცუდად იხდის, მუდამ არამდგრადია.

* * *

თუ ადამიანს თავისუფალი განვითარებისა და თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეგნების საშუალებას მივცემთ, ის მთელ თავის ძალისხმევასა და გამოცდილებას მოანდომებს სრულიად უმნიშვნელო ამოცანის გადაწყვეტასაც კი.

* * *

იმისთვის, რომ ერთმანეთის გვერდიგვერდ ვმუშაობდეთ, სულაც საჭირო არ არის ერთმანეთის სიყვარული.

* * *

უგიზნესოდ და უმთავრობოდ იოლად ვერ წავალთ. ერთიც და მეორეც, ასრულებენ რა სამსახურებრივ როლს, ისევე საჭირონი არიან, როგორც წყალი და პური, მაგრამ თუ ბატონობას იწყებენ, მაშინ ბუნებრიობის წინააღმდეგ მიდიან.

* * *

რაც უფრო უკეთესად ვიმუშავებთ, მით უფრო უკეთესად ვიცხოვრებთ. აი, ჩემი აზრით, რას გვიწესებს ელემენტარული საღი აზრი.

* * *

მწარმოებლის კეთილდღეობა საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია იმ სარგებელზეც, რაც იმას ადამიანთათვის მოაქვს. გარკვეული დროის განმავლობაში მან, რასაკვირველია, გვარიანადაც შეიძლება რომ იცხოვროს, მარტო თავის თავს თუ მოემსახურება. მაგრამ ამას დიდი დღე არ უწერია.

* * *

ადამიანების მხრივ საკმარისია იმის შეგნება, რომ მწარმოებელი იმათ არ ემსახურება, და ის მწარმოებელი დიდხანს ვერ გასტანს, ბოლო მოეღება.

* * *

ადრე მომხმარებელი პატივს მიაგებდა გამყიდველს თავისი დაკვეთებით, მერე ყველაფერი შეიცვალა და გამყიდველი, უსრულებდა რა დაკვეთებს, უკვე თვითონ მიაგებდა პატივს მომხმარებელს, ეს ვნებს ბიზნესს, როგორც სუყოველი მონოპოლია და წმინდა მოგების გამოკიდება. როცა კომპანიას დაძაბვა არ უწევს, ის ავადდება.

* * *

პარგად მოახელკეთილე შენი საქმე და ის აუცილებლად მოგებას მოგიტანს.

* * *

მომხმარებლის ნაწარმთან შეხვედრა პირბასრი ხელსაწყოა, ხოლო უხარისხო ნაწარმი – პირჩლუნგი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №52-55

* * *

მცირე ფასები თვითონ კომპანიის არასაიმედოობის ნიშანია, ვინაიდან, როცა ყველაფერი წესრიგშია, სუყოველ თანამშრომელს მუშაობისა და ამის გამო ფულის მიღების საშუალება აქვს.

თუკი ის მთელი ცხოვრება ფიზიკური შრომით ეპირება თავის გატანას, მაშინ მან უნდა იგულმავიწყოს ფაბრიკის საყვირის პირველი ახმიანების ჟამს თავისი სამუშაო, ხოლო თუ წინსვლა და რისამე მიღწევა სწადს, საყვირის შემდეგ უნდა დადგეს და იფიქროს თავის გასარჯელ დღეზე და კიდევ იმაზე, რარიგ გამოიღოს ხელი წინანდელზე უკეთესად.

* * *

მალე მივხვდი, რომ ახალი კომპანია არ შემეფერებოდა ჩემი იდეების განსახორციელებლად, რამეთუ ის მხოლოდ ფულის საწარმო იყო.

* * *

ჩემი მიზანი ის არის, რომ პროდუქტი ვაწარმოო მასალისა და ადამიანის შრომის მინიმალური ხარჯვით და გავყიდო მინიმალურივე მოგებით, თანაც დაჯამებული მოგების მხრივ გაყიდვის მოცულობის იმედი მაქვს, ჩემი საწარმოს მეორე მიზანია, რაც შეიძლება მეტი ხელფასი გავცე, სხვაგვარად თუ ვიტყვით, აღვძრა მაქსიმალური სყიდვითი უნარი და, რადგან ეს მინიმალურ დანახარჯს იწვევს და რადგან მინიმალური მოგებით ვყიდით, შეგვიძლია ჩვენი პროდუქტის სამყიდველო უნართან შესაბამისობაში მოყვანა.

* * *

წარმოების მიზანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა და არა მოგება, არა სპეკულაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაწარმი ხარისხიანი და იაფი უნდა იყვეს, რათა ადამიანთ მოუტანოს სარგებელი, და არა მარტო მწარმოებელს.

* * *

უკეთუ ერთადერთი აზრი ფულია, მაშინ პროდუქცია მარტო მწარმოებლის ხეირია.

* * *

არაგუნებრივია, როცა კაცი, რომელსაც მუშაობა უნდა, ვერც სამუშაოს შოულობს და არცრა სახსარი არა აქვს. ამდენადვე არაგუნებრივია, როცა კაცი, რომელიც უნარიანია, მაგრამ მუშაობას თავს არიდებს, სრულად ვერ იღებს სამაგიეროს მუშაობის სურვილის უქონლობის გამო, სუყოველ შემთხვევაში ამ კაცს იმის საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ საზოგადოებისგან ის მიიღოს, რაც თვითონ აქვს საზოგადოებისთვის მიცემული. არადა, თუ არაფერი არ მიუცია, რა მოთხოვნაზეა ლაპარაკი. შიმშილისგან სიკვდილის თავისუფლება კი, ბატონო, ნამდვილად ეკუთვნის. იმის მტკიცება, რომ ადამიანს მეტი უნდა ჰქონდეს, ვიდრე დაუმსახურებია – მხოლოდ იმიტომ, რაკი ზოგიერთი მართლა იღებს იმაზე მეტს, რაც სამართლიანად ერგება, – ასე შორს ვერ წავალთ.

* * *

ის ფაქტი, რომ გარკვეულ სამუშაოს დღეს ცხრა კაცი ასრულებს ძველებურად ათი კაცის ნაცვლად, სულაც იმას არ ნიშნავს, რომ ეს მეათე უმუშევარი დარჩა. ის უბრალოდ სხვა სამუშაოს ეწევა, საზოგადოებამ კი წინანდელი სამუშაოს გამო იმაზე მეტი არ უნდა გადაუხადოს, ვიდრე აწინდელი უღირს, რადგან იმ მეტს მთელი საზოგადოება იხდის.

* * *

მოგება კვლავ იზრდება. მაგრამ არავითარ შემთხვევაში დივიდენდებში არ იბნევა. ჯერ კიდევ კარგა ხნის წინათ დავიუნე მხოლოდ მცირე დივიდენდების გაცემა, და დღეს კომპანიაში ერთი აქციონერიც არ არის, ამის თანახმა რომ არ იყვეს. ჩემი აზრით, გარკვეული პროცენტით გადაჭარბებული ყოველგვარი მოგება კომპანიას ეკუთვნის და არა აქციონერებს.

ერთხელ, ავტომობილის ფასი 80 დოლარით რომ შევამცირე, მკითხეს, ეს გაიაფება 40 მილიონი დოლარით ხომ არ შეამცირებს ჩვენი გაერთიანების შემოსავალს, თუ წელიწადში 500 000 ავტომობილს გამოვუშვებთო. რასაკვირველია, ეს მართალი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ 500 000 ავტომობილის გასაღებაზე შევჩერდებოდით. ეს ყოველივე სხვა რა არის, თუ არა საგულისყურო მათემატიკური გაანგარიშება, რასაც არც რა საერთო არა აქვს საქმესთან, რამეთუ წარმოების საგნის ფასის დაუკლებლად შეუძლებელია ბრუნვის მუდმივად ზრდა.

* * *

ერთ წელიწადს ჩვენმა მოგებამ იმდენად გადააჭარბა ჩვენს მოლოდინს, რომ ნებაყოფლობით დავუბრუნეთ თითოეულ ავტომობილის მყიდველს 50 დოლარი. ვგრძნობდით, რომ ჩვენს მყიდველს უნებლიეთ ავართვით აუცილებელ თანხაზე მეტი.

* * *

ბიზნესში სუყოველმა უნდა გაითვალისწინოს ზარალის გარკვეული პროცენტი.

* * *

წარმოების წარმატება დამოკიდებულია, თუ რა დონეზე ემსახურება მწარმოებელი მომხმარებელს, სთავაზობს თუ არა იმას, რაც მომხმარებელს მოსწონს. მომხმარებლის გულის მოგება შესაძლებელია ხარისხით ან ფასით. ყველაზე მეტად მაინც მაღალი ხარისხით და დაბალი ფასით მიიზიდავ. ვისაც მომხმარებლისთვის ყველაზე უფრო იაფად საუკეთესო ხარისხის შეთავაზება შეუძლია, ის უცილობლად ინდუსტრიის სათავეში მოექცევა, მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ინდუსტრიის. ეს გარდაუვალი კანონია.

* * *

ხელფასით ექსპერიმენტირება ბიზნესის მთლიანად რესტრუქტურირების ნაცვლად – ნამდვილი სიძნელისთვის თავის არიდებას ნიშნავს.

* * *

ხელფასის დაკლება რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევის ყველაზე ადვილი და ამავე დროს ყველაზე ცუდი ხერხია.

* * *

თუ არა კარგი მუშაობისთვის, მევრის გადახდა არ შეიძლება, ხოლო ცოტას გადახდის შემთხვევაში სამუშაო კარგად ვერ მოხელსაქმდება.

(გაგრძელება იძნება)



◎ სამთო თხილამურები

ნიკლაურის „ოქრო-ვერცხლი“

ძართველი მოთხილამურეები კარგა ხანია, უცხოეთში არიან და იქაურ თოვლიან ტრასებზე იმაღლებენ ოსტატობას. მათ შორისაა ოლიმპიური თამაშების მონაწილე ნინო წიკლაური, რომელიც ამჟამად იტალიაში იმყოფება და, საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS-ის) ეგიდით კურორტ პასო სან პელეგრინოს სარეიტინგო ტურნირში მოსინჯა ძალები.

შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებისთვის 10 ქვეყნის 110-ზე მეტი სპორტსმენი იბრძოდა. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენებურმა სლალომში ორივე დისტანცია წარმატებით განვლო და 1.17.16-ით მეორე ადგილი დაიკავა. მთავარი პრიზი მასპინძელ სოფია ბრუნორო გრაფს (1.16.37) ხვდა, ხოლო ამერიკელი ბრაიანა ტრუდეაუ (1.17.33) მესამე ადგილზე გავიდა.

ნინომ განსაკუთრებით გიგანტურ სლალომში იყოჩაღა – ორი დაშვების ჯამში (2.14.93) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა და მსოფლიო რეიტინგი 31 ქულით გაიუმჯობესა. მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, ჯენიფერ პაირანის (იტალია, 2.15.26) და ელიზა გრიგს (ახალი ზელანდია, 2.15.29) ერგოთ.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

ჭაბუკებმა ბულგარეთი „გაძარცვეს“

7 ოქროს, 1 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს მედალი და გუნდური პირველი ადგილი – ასეთი ალაფით დაბრუნდნენ 15 წლის ქართველი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები (მწვრთნელები – ჯონი ლორია, კახაბერ დობორჯგინიძე და გოჩა კირკიტაძე) ბულგარეთის ქალაქ გალობოვოდან, სადაც Zlati Dinev Roydev-ის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა.

ყველა ორთაბრძოლა მოიგეს და პირველ ადგილებზე გავიდნენ თორნიკე ასაბაშვილი (38 კგ), დავით ქობულაშვილი (41 კგ), საბა კობახიძე (44 კგ), გიორგი გოგრიჭიანი (48 კგ), ლუკა ვანიშვილი (52 კგ), თორნიკე სამხარაძე (75 კგ) და მიშიკო კალაიჯიშვილი (85 კგ). მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა მაგომედ მაგომედოვი (44 კგ), ხოლო ნიკოლოზ ბოჭორიშვილმა (38 კგ), გიორგი აბულაშვილმა (57 კგ) და გიორგი სურმანიძემ (75 კგ) მესამე ადგილები დაიკავეს.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

ევროპელმა ვაჟებმა საათები ჩართეს

მაკედონიურ სკოპიეში გუშინ დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, რომლის საპრიზო ფონდია 100.000 ევრო.

შეჯიბრებაში საქართველოს 10 წარმომადგენელი მონაწილეობს. გაუწყებთ პირველ ტურში მათს შედეგებს: ზან ტომაზინი (სლოვენია) – ივან ჩეპარინოვი 0:1, ბაადურ ჯობავა - ზდენკო პლენკოვიჩი (ხორვატეთი) 1:0, ფერენც ბერკეში (უნგრეთი) – ნიკოლოზ კაჭარავა 1:0, პავლე დიმიჩი (სერბეთი) – ლევან ფანცულაია 0.5:0.5, ლუკა ობოლაძე – რასმუს სვანე (გერმანია) 0:1, ზდენკო მარტიჩი (ხორვატეთი) – ლუკა პაიჭაძე 0:1, ანდრეი სუკოვიჩი (მონტენეგრო) – დავით არუთინიანი 0:1, გიგა ყუფარაძე – ვლადისლავ ეფრემოვი (რუსეთი) 0.5:0.5, ლიუბომირ ჰადზი-მანევი (მაკედონია) – ნოე თუთისანი 0:1, გზიმ ბითიქი (კოსოვო) – ნიკოლოზ პეტრიაშვილი 0:1.

ასპარეზობის რეიტინგფავორიტები – ევგენი ტომაშევსკი, დანიილ დუბოვი (ორივე – რუსეთი) და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ივან სარიჩი (ხორვატეთი) ბევრად დაბალი რეიტინგის მქონე მეტოქეებს დაუზავდნენ.

გივი გაგუა

◎ სუმო

მეოთხე მარცხი

იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე საგაზაფხულო სუპერტურნირის 10 დღის თავზე ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილ ქართველ სუმოისტ ლევან გორგაძეს 6 მოგება აქვს და დადებითი ბალანსისთვისა (კაჩი-კოში) და, შესაბამისად, კადობანისგან თავის დასაღწევად, დარჩენილი 5 ორთაბრძოლიდან ორის მოგება სჭირდება.

გუშინ ქართველმა სეკიტორმა რთული ორთაბრძოლა გადაიტანა და ოძეკების ჯახში გამარჯვებული მისი მეტოქე გამოვიდა. სასტარტო შეჯახების დროს გოეიდო ოდნავ გვერდით გაიწია და ჩვენებურის მავაში მარცხენა ხელით დაიჭირა, ლევანს კი საპასუხო ჰიდარი-უვატეს დაფიქსირების საშუალება არ მისცა და დოჰიოზე უვატეჰინერით დასცა.

ტოჩინოშინს მორიგი გამოცდა დღეს ელის, როდესაც კიდევ ერთ ოძეკ ტაკაიასუს გაეჯიბრება. ეს უკანასკნელი ჰარუ ბაშოზე მძლავრად ირჯება და ზურგს 8 მოგება უმაგრებს, ქართველ სუმოისტს კი ურთიერთშეხვედრებში 11:8-ს სჯაბნის.

ელიტურ მაკუუჩი დივიზიონში კვლავაც დაუმარცხებლად ასპარეზობს მონღოლი იოკოძუნა ჰაკუჰო. „თეთრმა ფენიქსმა“ მიჯრით მე-10 გამარჯვება სეკივაკე ტამავაშისთან იზეიმა და უახლოეს მდევრებს – რიგით მაეგაშირებს იჩინოჯოსა და აოიამას თითო მოგებით უსწრებს. სამაგიეროდ, ლიდერთა ჯგუფს მოწყდა მე-2 მონღოლი იოკოძუნა კაკურიუ, რომელმაც ოსაკაში მე-2 მარცხი სეკივაკე ტაკაკეიშოსთან განიცადა.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში წარმატებული დღე ჰქონდა თეიმურაზ ჯუღელს, იგივე გაგამარუს. ქართველმა გოლიათმა, რომელიც შეჯიბრს აღმოსავლეთის მე-8 ნომრით შეხვდა, დასავლეთის მე-11 ნომერი ამინიშიკი ჰატაკიკომით დასცა და ეს ჩვენებურისთვის ზედიზედ მე-4 წარმატება იყო. გაგამარუს, ტოჩინოშინის დარად, 6 მოგება და 4 მარცხი მოუგროვდა და კაჩი-კოშიმდე 2 გამარჯვებაღა აშორებს.

მარტის სუპერტურნირის მე-11 დღეს ქართველი სეკიტორის პირისპირ აღმოსავლეთის მე-12 რეიტინგოსანი მიტორიუ დადგება, რომელთანაც თეიმურაზს თანაბარი ბალანსი (2:2) გააჩნია.

კობა კობახიძე

◎ ფრენბურთი

ცაგერი - სრული სვლით

თბილისში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა 2018-2019 წლების საქართველოს 28-ე ჩემპიონატის უმღლესი ლიგის მეორე წრის შეხვედრები. საპრიზო ადგილებისთვის ექვსი გუნდი იბრძვის. კვლავ იყო-ჩაღეს მოქმედმა ჩემპიონებმა ცაგერლებმა (მწვრთნელი **თემურ ჭაბუკიანი,** დირექტორი **გია სილაგაძე**), რომლებმაც, პირველი წრის მსგავსად, ამჯერადაც ხუთივე პაექრობა მოიგეს და 28 ქულით ერთპიროვნულად მეწინავეობენ. ლიდერს 12 ქულით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფი თბილისის გუნდი.

„ჩვენი კლუბის წარმატება შემთხვევითი არ არის, – გვითხრა გია სილაგაძემ. – გარდა იმისა, რომ გუნდის წევრები მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საწვრთნელ პროცესს, დიდ დახმარებას გვიწევს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო. დაფინანსებას არ ვუჩივით და ფრენბურთელებს ვარჯიშისა და დასვენების სათანადო პირობები აქვთ. მონდომებულებიც ვართ და აუცილებლად ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ“.

სატურნირო მდგომარეობა ორი წრის შემდეგ: ცაგერი – 28 (პარტიები – 30:6), თბილისი – 16 (21:19), ქუთაისი - 15 (20:20), ბათუმი – 12 (16:22), ყვარელი – 10 (14:22), კავკასიის უნივერსიტეტი – 9 (10:22) ქულა.

მესამე წრის შეხვედრები აპრილში გაიმართება.

თამაზ პატარიძე

◎ რეტრო

40 წელი გასულა...

მოგეხსენებათ, ტაშკენტი ქართული ფეხბურთის ტრიუმფთან გვაკავშირებს, მაგრამ დღეს გვსურს იქაური „ფახთაქორისა“ და მისი ქართველი მშვენების სევდიანი ისტორია შეგახსენოთ.

1979 წლის 11 აგვისტოს უზბეკური ფეხბურთის ფლაგმანის ავიაკატასტროფაში დაღუპვამ მთელი საბჭოეთი შეძრა. მეზობელთა დასახმარებლად პირველი ქუთაისის „ტორპედოს“ მოთამაშე ზურაბ წერეთელი გაემგზავრა, რომელსაც მოგვიანებით მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები მიჰყვნენ.

მალევე, 27 აგვისტოს განახლებულმა „ფახთაქორმა“ პირველი შეხვედრა თბილისის „დინამოსთან“ გამართა. ამ მატჩმა სტადიონზე ლამის მთელი უზბეკეთი შეკრიბა. მოგვიანებით მასპინძელთა გამორჩეული მოთამაშე ტულიაგან ისაკოვი ერთ-ერთ ინტერნეტ-გამოცემაში ასე იხსენებდა მაშინდელ პერიპეტიებს: „ტაშკენტში ჩამოსვლისთანავე ქართველი ფეხბურთელები სასაფლაოზე წავიდნენ და ყვავილებით შეამკეს დაღუპულთა საძვალე, საღამოს კი მწვანე მინდორზე გამოვიდნენ სათამაშოდ. მართალია, შეუდარებელმა დავით ყიფიანმა მატჩის დასაწყისშივე გახსნა ანგარიში, მაგრამ შემდეგ სტუმრებმა შეგნებულად დაგვითმეს უპირატესობა და ორი ბურთი გაგვატანინეს, თანაც, დინამოელებმა მოედანზევე გვითხრეს – აქ მოსაგებად არ ჩამოვსულვართ და ვერ მივცემდით თავს უფლებას, მთელი ძალით გვეთამაშაო. ამ გამარჯვებამ ოდნავი შვება მოჰგვარა დამწუხრებულ უზბეკ გულშემატკივარს და ქართველთა ადამიანურმა საქციელმა ტკივილი შეგვიმსუბუქა. ჩვენ დღესაც დიდ მადლობას ვუხდით დიდებულ ქართველ ბიჭებს“.

ზურაბ წერეთელმა 1979-1981 წლებში ტაშკენტის „ფახთაქორის“ შემადგენლობაში ჩატარებულ 45 მატჩში 6 ბურთი გაიტანა. მას უზბეკური პრესა ხშირად იხსენებს და სინანულით წერს, რომ 28 წლის ასაკში დაბრუნდა საქართველოში. ქართველ ფეხბურთელს ტაშკენტში გრანდიოზული გაცილება მოუწყვეს. უზბეკეთის მაშინდელმა ლიდერმა შარაფ რაშიდოვმა მინისტრის პორტფელი და ბინაც კი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. მანვე მადლობა გადაუხადა ზურაბის დედას და ქართველებს ასეთი კარგი ადამიანის აღზრდისთვის, მისი სახელის უკვდავსაყოფად კი „ფახთაქორის“ ბაზისკენ მიმავალ ქუჩას, რომელიც ტაშკენტიდან 20 კმ-ის მოშორებით კიბრაის დასახლებასთან მდებარეობს, ზურაბ წერეთლის სახელი მიანიჭეს. დავძენთ, რომ ქართველმა ფეხბურთელმა წამოსვლისას „ფახთაქორის“ ბაზაზე სიმბოლურად გარგარის ხე დარგო.

ზურაბ წერეთლის ერთადერთი შვილი ანა წერეთელი სათუთად ინახავს მამამისის თანაკლუბელის მარატ კაბაევის მიერ ნაჩუქარ ბურთს და უზომოდ გახარებულია ღირსეული მშობლის ნამოღვაწარით, თანაც, დანანებით დასძენს, რომ მისი მოყოლილი ისტორიები არ ახსოვს, რადგან მხოლოდ 7 წლის იყო, როდესაც 1992 წლის 14 იანვარს დუშეთის გზაზე მომხდარ ავარიას 39 წლის ასაკში ემსხვერპლა.

ქალბატონი ანა დიდი მადლიერებით იხსენებს უზბეკეთში სტუმრობის დეტალებს, ხოლო გუნდის მაშინდელი ექიმი, რომელიც ამჟამად ამერიკაში ერთ-ერთი კლინიკის დირექტორია, დღესაც ხშირად ეკონტაქტება.

არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება „ფახთაქორის“ თანამედროვე სამწვრთნელო შტაბის ქართული შემადგენლობა – შოთა, არჩილ არველაძეები და გოჩა ტყეებუჩავა...

ხვალ ზურაბ წერეთელს 66 წელი შეუსრულდებოდა...

ბეჟან ჩხეიძე,
ფესტაფონიდან

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს ,,ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს საწვავის შესყიდვაზე ქვემოთ მოცემულ საწვავის რაოდენობასა და საწვავის ტიპზე:

#	საწვავის დასახელება	რაოდენობა (ლიტრი)
	1	2
1	ბენზინი პრემიუმი (ოქტანობა - არანაკლებ 95)	24000
2	დიზელი (არაუმეტეს 50 PPM)	36000

- საწვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურებზე წარდგენილი სათანადო პლასტიკური ბარათების მეშვეობით.

- საწვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ტენდერის გახსნის დღეს (2019 წლის 2 აპრილი) ,,პრეტენდენტის“ საცალო სარეალიზაციო ქსელში არსებულ ერთი ლიტრი საწვავის ფასზე შემოთავაზებული ფასდაკლების გათვალისწინებით. შეფასება განხორციელდება ჯამური ღირებულებების მიხედვით. გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გასაყიდი საწვავის ერთი ლიტრის ფასი განსაზღვრული იქნება შესაბამისი საწვავისთვის 2019 წლის განმავლობაში საწვავის შეკვეთის მომენტისათვის მიმწოდებლის საცალო სარეალიზაციო ქსელში ანალოგიურ პროდუქტზე არსებული ერთულის (ერთი ლიტრი საწვავის) ფასს გამოკლებული შემოთავაზებული ფასდაკლება. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება იქნება 150,000.00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

- საწვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა თანმდევი ხარჯის გათვალისწინებით, მათ შორის: დ.ღ.გ.-ს, საწვავის ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების, ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის მიწოდების ხარჯების, პლასტიკური ბარათების/აგაი სისტემის დამზადება-მომსახურების ხარჯების გათვალისწინებით.

- ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე ფაქტიურად საწვავის ჩატვირთვაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

- საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ამასთან თითოეულ ეტაპზე მოთხოვნილი იქნება საერთო მოცულობის (სახელშეკრულებო რაოდენობის) არაუმეტეს 25%-ისა.

- პრეტენდენტის მატერიალაურ-ტექნიკური ბაზა: არანაკლებ 10 ავტოგასამართი სადგური ქ. თბილისში, ავტოგასამართი სადგურები შემდეგ რეგიონებში ან მიმდებარე ტერიტორიაზე: ქვემო ქართლში (რუსთავი, მარნეული); სამეგრელო - (ზუგდიდი, სენაკი); იმერეთი - (ქუთაისი, ზესტაფონი), შიდა ქართლი (გორი, ხაშური); სამცხე ჯავახეთი (ახალციხე, ახალქალაქი).

- სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირ ვაჭრობისას (,,შემდგომში– ბიჯი“) – 0.02 ლარი ერთ ლიტრ საწვავზე.

- საწვავის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ ან/და საერთაშორისო სტანდარტებს (ISO) ან გოსტს ან ევროპულ ნორმებს (EN) ან აშშ სტანდარტს (API) და პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

- საწვავის მთლიანი რაოდენობის არ შესყიდვისათვის „შემსყიდველს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის **საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახ**ელშეკრულებო ღირებულების 2% -ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს ,,ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს ,,თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა # GE37TB7731436030100001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის № T-01 G-01/2019.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 50 ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2019 წლის 1 აპრილის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2019 წლის 2 აპრილის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2019 წლის 2 აპრილის 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტები:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არ**ასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;**
2. **ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**
3. **პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო** კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისის ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია ინგლისურ და რუსულ ენებზე (oRond იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს) დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-01 G-01/2019.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში _ ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენედერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე ,,შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო პირები: შესყიდვების სამსახურის უფროსი **გიორგი ჭიჭინაძე** ტელ: 577907707 ელ. ფოსტა: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge.

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს ,,ენერგოტრანსის” მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

შსს „ჯიპებს“ სედანის ტიპის ავტომობილებით ჩაანაცვლებს!

გამოცხადებული ტენდერის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ ტენდერის პირობები და ვადები არის გამჭვირვალე.

„შსს-ს სხვადასხვა დანაყოფებისთვის სედანის ტიპის ავტომობილების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულია კონსოლიდირებული ტენდერი. სამინისტრო ახალი ავტომობილებით ქალაქის პირობებში მომუშავე ოპერატიულ მაღალი გამავლობის „ჯიპებს“ ჩაანაცვლებს. ტენდერის პირობები, ასევე ვადები არის გამჭვირვალე და განსაზღვრულია, როგორც სხვა კონსოლიდირებული ტენდერების შემთხვევაში. ტენდერი გამოცხადდა 14 მარტს. მასში მონაწილეობა ყველა დაინტერესებულ ბიზნესოპერატორს შეუძლია.

განცხადება

63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T-02 კონსერვაციის მომსახურების და 63 მვა 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T-01 ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მომსახურების შესყიდვის შესახებ, კონვერტორულ სადგურში: „ახალციხე-500“

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T-02 კონსერვაციის მომსახურების და 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T=01 ტექნიკური შეფასების მომსახურების შესყიდვის ტენდერს, ახალციხის (ახალციხე-500) კონვერტორულ სადგურში.

სატენდერო პროცედურა ჩატარდება შპს „ენერგოტრანსის“ „საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვეის რეგულაციების“ შესაბამისად.

მომსახურების მიზანს წარმოადგენს ტრანსფორმატორის (ქარხნული ნომრით# 30T110119.02) მოქმედი ნაწილების და ასაწყობი ნაწილების კონსერვაცია, საიზოლაციო დეტალების, საშუალო ძაბვის და დაბალი ძაბვის ელ. გრაგნილების და მაგნიტური სადენის დაცვის მიზნით, ახალციხის (ახალციხის-500) კონვერტორულ სადგურში.
მომსახურება მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

N	მომსახურების ტიპი	განზომილების ერთეული	რაოდენობა
I	**ტრანსფორმატორის შემოწმება, #20-T-02 და დასკვნის მომზადება**	ლოტი	1
II	**63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის, #20-T-02 კონსერვაცია (მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში)**		
1	მოსამზადებელი სამუშაოები	ლოტი	1
2	ტრანსფორმატორის მაგნიტური სადენის აწყობა	ლოტი	1
3	ბარიერის და ელ. უღელის იზოლაციის კონსერვაცია	ლოტი	1
4	მოქმედი ნაწილის მონტაჟი ავზში	ლოტი	1
5	მოქმედი ნაწილის კონსერვაცია ტრანსფორმატორის ავზში	ლოტი	1
6	ასაწყობი ნაწილების კონსერვაცია	ლოტი	1
III	63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T=01 ტექნიკური მდგომარეობის შეფასება ახალციხის (ახალციხე-500) გარდამქმნელ ქვე-სადგურში	ლოტი	1

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი, ზეთის დაღვრის აღმოფხვრის გარანტიით, შემსყიდვლის მიერ მომსახურების მიღებიდან 12 თვის განმავლობაში.

ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ 1 თვიდან 2 თვემდე დროის მონაკვეთი, მომსახურების მოწოდებისთვის. მოწოდების დრო გათვალისწინებული იქნება, როგორც შეფასების კრიტერიუმი, 0.3 ქულის ოდენობით. ტენდერის იმ მონაწილეებს, რომელთა შემოთავაზების მიხედვით, მომსახურების მოწოდება გათვალისწინებულია 1 თვის ვადაში, მიენიჭებათ მაქსიმალური - 10 ქულა.

აღნიშნული მომსახურებისთვის წარმოდგენილ ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სახის ხარჯები. ფასებში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

ფაქტიურად შესრულებული მომსახურების (ფასების ცხრილის მიხედვით) ანაზღაურება განხორციელდება ლარში, საბანკო გადარიცხვის გზით, მომსახურების დასრულებაზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ინვოისის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.
ტენდერის მონაწილის გამოცდილება სატენდერო მოთხოვნების მიხედვით: ტენდერის მონაწილე უნდა ფლობდეს 400 (500) კვ ტრანსფორმატორების წარმოების და/ან შეკეთების მინიმუმ ხუთ (5) წლიან გამოცდილებას. სავალდებულოა ტენდერის მონაწილის, როგორც მწარმოებლის და/ან შემკეთებლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა (ისეთი დოკუმენტები, როგორის არის წარმოებული და/ან შეკეთებული ტრანსფორმატორების ნუსხა და სხვ.).
ფასის დაკლების ეტაპი ზეპირი ვაჭრობის (ვაჭრობა ფასის დაკლებაზე, ე.წ. რევერსული აუქციონი) (შემდგომში: „ეტაპი“) დროს შეადგენს 4,000.00 ლარს (ოთხი ათასი). ზეპირი ვაჭრობის (რევერსული აუქციონის) ჩატარების ადგილი: ბარათაშვილის ქ. #2, 0105, თბილისი, საქართველო. შემსყიდველის ოფისი.

ტენდერის მონაწილეებმა საკუთარ სატენდერო წინადადებებთან ერთად უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების გარანტია - **საბანკო გარანტია**. აღნიშნული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ტენდერის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას უნდა აღემატებოდეს მინიმუმ **30 კალენდარული დღით**. სატენდერო გარანტიის თანხა უნდა შეადგენდეს **სატენდერო წინადადების მინ. 3%.**

ტენდერის იმ მონაწილემ, რომელსაც შემსყიდველი გაუფორმებს კონტრაქტს, უნდა წარმოადგინოს შესრულების გარანტია - საბანკო გარანტია - **ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 %-ის ოდენობით.**

სატენდერო დოკუმენტის მისაღებად, დაინტერესებულმა და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციებმა უნდა გადაიხადონ არანაზღაურებადი 50 (ორმოცდაათი) ლარი, შპს „ენერგოტრანსის“ ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

სს „თი-ბი-სი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ბანკის ანგარიში: GE37TB7731436030100001
მოსარგებლე: შპს „ენერგოტრანსი“
მიზანი: სატენდერო დოკუმენტის საფასური ტენდერისათვის: T02 S 01-1/2019

ზემოთ აღნიშნული, არანაზღაურებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტის მიღება შესაძლებელი იქნება შპს „ენერგოტრანსის“ ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, შესყიდვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, 2019 წლის 3 აპრილის 18:00 სთ-მდე.

შემსყიდველის მისამართი:
შპს „ენერგოტრანსის“ მისამართი:
ბარათაშვილის ქ. #2,0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +(99532)2510391
ელ. ფოსტა: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge

ტენდერის მონაწილეების სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო ინფორმაცია ტენდერის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ზემოთ მითითებულ მისამართზე, არაუგვიანეს 2019 წლის 4 აპრილის 15:00 საათისა, ადგილობრივი დროით. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2019 წლის 4 აპრილს, ადგილობრივი დროით 15:00 სთ-ზე, ტენდერის იმ მონაწილეების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

სატენდერო წინადადება, ყველა საჭირო დოკუმენტების ჩათვლით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. სატენდერო წინადადების წარმოდგენა უნდა მოხდეს დალუქული კონვერტით, რომელზეც მითითებული იქნება შემდეგი ინფორმაცია: ვის: შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას, ტენდერის მონაწილის დასახელება, სატენდერო პროცესის დასახელება, ტენდერის # T02 S01-1/2019.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ტენდერის მონაწილეებმა საკუთარ სატენდერო წინადადებებთან ერთად, უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო ინფორმაცია:

ტენდერის მონაწილეებმა საქართველოდან:

a) ან იურიდიულმა პირებმა და კერძო სამართლის ინდივიდუალურმა მეწარმეებმ:

1. სამეწარმეო და არა-სამეწარმეო (არა-კომერციული) იურიდიული პირების ამონაწერი რეესტრიდან;
2. საჯარო/სამართლებრივი შეზღუდვების სერტიფიკატი (sajaro რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
3. ტენდერის მონაწილეების (საიდენტიფიკაციო) ინფორმაცია: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა.

b) საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის:

1. საჯარო/სამართლებრივი შეზღუდვები (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
2. ტენდერის მონაწილეების (საიდენტიფიკაციო) ინფორმაცია: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა.

c) ფიზიკური პირებისთვის:

1. საჯარო/სამართლებრივი შეზღუდვები (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
2. ტენდერის მონაწილეებ**ის (საიდენტიფიკაციო) ინფორმა**ცია: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა.

ტენდერის უცხოელი მონაწილეებისთვის:

1. ტენდერის მონაწილის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაცემული უნდა იყოს ტენდერის მონაწილის ქვეყნის შესაბამისი უწყების მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ტენდერის მონაწილეების (საიდენტიფიკაციო) ინფორმაცია: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა.

სატენდერო წინადადებები არ მიიჩნევა მისაღებად და არ დაექვემდებარება შემდგომ შეფასებას, იმ შემთხვევაში, თუ:

- ტენდერის მონაწილე არ წარმოადგენს ყველა სახის საჭირო დოკუმენტაციას (დამხმარე დოკუმენტაციასთან ერთად) და/ან ინფორმაციას, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო წარმოდგენას, მოცემული შესყიდვების განცხადების და სატენდერო დოკუმენტის მიხედვით;
- სატენდერო კომიიის მოთხოვნის საფუძველზე ტენდერის მონაწილე ვერ დაუზუსტებს, დაასრულებს, წარმოადგენს, ან დაადასტურებს საკვალიფიკაციო ინფორმაციას, რაც გათვალისწინებულია შესყიდვების მოცემული განცხადების მიხედვით;
- ტენდერის მონაწილე უარს აცხადებს სატენდერო კომიტეტის მიერ მის სატენდერო წინადადებაში გამოვლენილი არითმეტიკული (მექანიკური) შეცდომების გასწორებაზე;
- სატენდერო წინადადება და/ან საკვალიფიკაციო ინფორმაცია არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტით და/ან მოცემული შესყიდვების განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- ტენდერის მონაწილე იყენებს არასამართლიან პრაქტიკას, შესყიდვების პროცესში;
- ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები, ან სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი მონაცემები, ან მათი დამადასტურებელი დოკუმენტები, აღმოჩნდება ყალბი.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილის სატენდერო წინადადება შესაბამისობაშია სატენდერო დოკუმენტის ტექნიკურ მოთხოვნებთან, შესაძლებელი იქნება ტენდერის მონაწილის სატენდერო წინადადების დაზუსტება, ან დასრულება, ან მოთხოვნილი საკვალიფიკაციო ინფორმაციის ხელახალი წარმოდგენა, სატენდერო წინადადების არსის ცვლილების გარეშე, სხვა შემთხვევაში სატენდერო წინადადება არ მიიღება შესაფასებლად.

ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული სატენდერო წინადადებების მიღება არ არის ნებადართული.

დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტს შემსყიდველის ოფისში, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე.

მოცემული განცხადება შესყიდვის შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge
დამატებითი ინფორმაცის მიღება შესაძლებელია შპს „ენერგოტრანსის“ ოფისში, ზემოთ მითითებულ მისამართზე.
საკონტაქტო პირები:
თეა ტორიაშვილი, შპს „ენერგოტრანსის“ დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი, ელ. ფოსტა: t.toriashvili@energotrans.com.ge
გიორგი ჭიჭინაძე, შესყიდვების სამსახურის უფროსი, ელ. ფოსტა: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge

Annex #1

Procurement Notice for Procurement of Services for Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02 and Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500

"Energotrans" Ltd announces Bidding for Procurement of Services for Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02 and Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500.

The Bidding procedure will be conducted in accordance with the "Rule of Procuring goods, services and works by "Energotrans" Ltd.

The objective of the services is conservation of active parts and assembly units of Transformer with the Factory Number 30T110119.02 for protection of insulation details, MV (Medium Voltage) and LV (Low Voltage) windings and coil flux guide at Akhaltsikhe-500 Converter Station.

The services comprise the following activities:

N	Type of Service	Measurement Unit	Q-ty
I	**Inspection of Transformer, No. #20-T-02 and preparation of conclusion**	Lot	1
II	**Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02 (only after positive conclusion)**		
1	Preparatory works	Lot	1
2	Assembling of coil flux guide of Transformer	Lot	1
3	Conservation of barrier and yoke insulation	Lot	1
4	Installation of active part at the tank	Lot	1
5	Conservation of active part at the transformer tank	Lot	1
6	Conservation of assembling units	Lot	1
III	Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500	Lot	1

The Contactor shall provide the Purchaser with warranty for the elimination of oil leakage within 12 months period after acceptance of services by the Purchaser.

The Bidders are allowed to propose delivery period of service from 1 months up to 2 months period. Delivery Term will be used as an evaluation criteria with the priority ratio of 0.3. Bidders offering service delivery within 1 month period will be awarded the maxim grade of 10 for this criteria.

The Price for above mentioned services shall be submitted considering all associated costs. The prices should comprise all taxes envisaged under Georgian Legislation.

The payment for the actually provided services (as per the Table of prices) will be made in GEL by bank transfer within 20 working days from the date of signing the Final Acceptance Certificate for completion of services and submission of relevant invoice.

Required experience of the Bidder: The Bidder should have at least five (5) years of experience in manufacturing and/or repairing 400 (500) kV transformers. Document proving Bidders experience in manufacturing and/or repairing shall be submitted (documents such as: list of produced and/or repaired transformers, etc.).

Price reduction step during Oral trading (reverse Auction) (later "step") is GEL 4,000.00 (four thousand. The place for conducting the Oral Trading (Reverse Auction) is: 2, Baratashvili Str., Tbilisi, 0105, Georgia, Office of the Purchaser.

The Bidders shall furnish with their Bid a Bid Security - **Bank Guarantee** - with the validity period of at least by **30 calendar days more** than the validity of the Bid submitted by Bidder. The amount of Bid Security shall be **3% of the bidder's bid.**

The Bidder who will be awarded the contract shall furnish a performance security – Bank Guarantee – in the amount of of **3% of the total contract price.**

For obtaining Tender Document the interested Entities shall pay non-refundable fee in the amount of GEL 50 (fifty) on the following bank account of "Energotrans" Ltd:

"TBC Bank" JSC
Code: TBCBGE22
Bank Account: GE37TB7731436030100001
Beneficiary: "Energotrans" Ltd
Purpose: Bidding Document fee for the Bidding: T02 S- 01/2019

Upon submission of document proving the payment of abovementioned non-refundable fee the Bidding Document shall be obtained in the office of "Energotrans" Ltd on the address indicated below from the date of Procurement Notice Publication until April 3, 2019, 18:00.

Address of the Purchaser:
Office of "Energotrans" Ltd
2, Baratashvili Str., Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +(99532)2510391 +995577907707
E-mail: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge

Bidders' Bids and Qualification Information shall be submitted by the Bidders on the address indicated above on or before April 4, 2019, 15:00 local time. The Bids will be opened on April 4, 2019, 15:00 local time in the presence of those Bidders who choose to attend. Late Bids will be rejected.

The Bid including all necessary documents shall be submitted in English language. The Bid shall be submitted in a sealed envelope indicating the following information: To: Bidding Commission of "Energotrans" Ltd, Name of the Bidder, Name of the Bidding Process, Bidding # T02 S01-1/2019.

For participation in the Bidding the Bidders should submit the following qualification information together with their Bid:

For Georgian Bidders:

a) For legal entities and individual entrepreneurs of private law:

1. Extract from the Register of Entrepreneurs and Non-Entrepreneurial (non-commercial) Legal Persons;
2. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry)
3. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

b) For Legal Entities under Public Law:

1. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry)
2. Bidders (identification) details: address, I bank details, telephone number, e-mail.

c) For physical persons:

1. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry);
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

For foreign Bidders:

1. Document indicating legal status of the Bidder issued by the relevant body of the Bidder's country in accordance with the applicable law;
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

The Bids will not be considered as acceptable and will not be allowed for further evaluation in the following cases:

- If the Bidder fails to submit all necessary documents (with supporting documentation) and/or information required by this procurement notice and Bidding Document;
- If in case of the request of the Bidding Commission the Bidder fails to specify, complete, submit or reconfirm the qualification information required by this procurement notice;
- If the Bidder refuses to correct arithmetical (mechanical) errors revealed in its Bid by Bidding Committee;
- If the Bid and/or qualification information are incompliant with the requirements prescribed in the Bidding Document and/or this procurement notice;
- If there is noted applying of unfair practice by the side of the Bidder in the process of procurement;
- Qualification data submitted by Bidder or the data given in the Bid, or the documents confirming them are found out to be false.

In case when the Bidder's Bid is in compliance with the technical requirements of the Bidding Document it is allowed to specify or complete the Bidder's Bid or re-submit required qualification information without changing the Bid's substance, otherwise The Bid will not be considered for evaluation.

The Bidder should submit only one Bid. Alternative Bids are not allowed.

Interested Legal entities may familiarize with the Bidding Document in the office of the Purchaser until the deadline for Bid submission.

This procurement Notice will be also published on the website of the Purchaser: www.energotrans.com.ge

Additional information could be obtained in the office of "Energotrans" Ltd at the address indicated above.

Contact persons:

Tea Toriashvili, Deputy Director of "Eenergotrans" Ltd, Bid Commission Member, E-mail: t.toriashvili@energotrans.com.ge

Giorgi Chichinadze, Head of Procurement Service, E-mail: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge

ესპანეთში სახლების გაქურდვისთვის ქართველები დააკავეს!

შსს-ის ინფორმაციით, ესპანეთში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად 4 ქართველი დააკავეს, რომლებიც ქალაქ კორდობაში სახლების გაქურდვაში იყვნენ ეჭვმიტანილები. ოპერაციას რომელსაც პირობითი სახელი **Pumuki** ერქვა, 2019 წლის დასაწყისიდან დაიწყო. როდესაც პოლიციაში შევიდა ინფორმაცია სახლების გაქურდვის გახშირებულ შემთხვევებთან დაკავშირებით, გამომძიებლებმა ქურდობებში მსგავსი მახასიათებლები აღმოაჩინეს. დაკავებულთა შორის ერთი ქალი და 3 მამაკაცია. მათი საცხოვრებლის გაჩხრეკის შედეგად აღმოჩენილია ძვირფასეულობა და 35 ათასი ევრო ნაღდი ფული. დაკავება პარასკევს მოხდა.

სანთელი

შვილები ზურაბ, რეზო თაბუკაშვილები, რძლები მანანა ჭოხონელიძე, ხათუნა ორჯონიკიძე, ნინო კეკელია, სიძე გიორგი ზედგენიძე, შვილიშვილები გიორგი, დათო, ელენე, შვილთაშვილები ზურაბი, ანა, ირინე მწუხარებით იუწყებიან

ცისანა (ციალა) ქამუშაძე-თაბუკაშვილის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 21, 22 III, 16 სთ. დიღმის მასივი, II კვ, კორპ 9ა, სადარბაზო 2, სართული 5, დაკრძალვა 23 III, 14 სთ. წმინდა გიორგის სახელობის ტაძრიდან — დიღმის მასივი, II კვ. (დიდუბე-დიღმის დამაკავშირებელ ხიდთან).

მუხრან, ნინო, მამუკა, ხათუნა ბაგრატიონები ოჯახებით იუწყებიან

ცისანა (ციალა) ქამუშაძე-თაბუკაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ზურაბ და რეზო თაბუკაშვილებს.

მიხეილ სალაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ზურაბ და რეზო თაბუკაშვილებს

ცისანა (ციალა) ქამუშაძე-თაბუკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ალექსანდრე, ქეთინო ქამუშაძეები მწუხარებით იუწყებიან მამიდის

ცისანა (ციალა) ქამუშაძე-თაბუკაშვილის

გარდაცვალებას.

2019 წლის ყველაზე ძვირი ქალაქები

ცხოვრების დონის მიხედვით, ქალაქების რეიტინგი ჟურნალმა Economist Intelligence Unit-მა შეადგინა. ისტორიაში პირველად, სინგაპური, ჰონგკონგი და პარიზი მსოფლიოს ყველაზე ძვირი ქალაქების სამეულს ინაწილებენ.

2019 წლის ტოპ 10 ქალაქი ევროპისა და აზიის ქვეყნებზე გადანაწილდა. წინა წლის რეიტინგიდან ამ ჩამონათვალში მხოლოდ ერთი ქალაქი დარჩა და ეს სინგაპურია.

აღნიშნულია, რომ სამივე ქალაქში ცხოვრების დონე 7 პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე ნიუ-იორკში. წინა წელთან შედარებით, ლოს-ანჯელესი რამდენიმე პუნქტით დაწინაურდა და მეათე ადგილი გაიყო ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივთან ერთად. ტოპ-ათეულში ასევე შევიდნენ ევროპის ქალაქები — ციურიხი, ჟენევა და კოპენჰაგენი.

რეიტინგის თანახმად, ინდოეთის ქალაქები ბანგალორი, ჩენაი, ნიუ-დელი და პაკისტანის ქალაქი ყარაჩი 2019 წლის ყველაზე იაფი ქალაქებია.

დონალდ ტრამპი ხელფასს სახელმწიფო უწყებებს გადაურიცხავს



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ეროვნული უსაფრთხოების სამსახურს წლიური ხელფასიდან 100 ათასი დოლარი ჩაურიცხა. ამის შესახებ მან მიკრობლოგ „ტვიტერზე“ დაწერა.

„იმის მიუხედავად, რომ მედიას არ უყვარს ამის შესახებ საუბარი და მათგან ეს არც მჭირდება, წლის განმავლობაში ჩემს წლიურ ხელფასს — 400 ათას დოლარს სხვადასხვა უწყებას გადავცემ. ამას (100 ათას დოლარს) ვურიცხავ ეროვნული უსაფრთხეობის სამსახურს“, — დაწერა ტრამპმა.

დონალდ ტრამპმა პრეზიდენტის ხელფასზე უარი არჩევნებში გამარჯვებისთანავე თქვა და განაცხადა, რომ ხელფასის სახით, ის მხოლოდ ერთ დოლარს აიღებდა. 2018 წელს დონალდ ტრამპმა თავისი ხელფასის ნაწილი ვეტერანთა საკითხების დეპარტამენტს გადაურიცხა.

ამერიკელი დიპლომატი მსოფლიოს რუსული აგრესიის შესახებ აფრთხილებს

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი კურტ ვოკერი ამბობს, რომ მსოფლიო საზოგადოებამ უკვე იხილა ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებისა და ტერიტორიების მიტაცების მაგალითები საქართველოსა და უკრაინაში.

ვოკერის შეფასებით, არსებული ვითარება მთელი ევროპისთვის წარმოადგენს პრობლემას და ვითარებასთან შეგუების შემთხვევაში, შესაძლოა, მსგავსი მოვლენები სხვა ქვეყნებშიც განმეორდეს.

„ევროპაში მიღებულ ყველა ძირითად დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქვეყანამ თავი უნდა შეიკავოს ძალის გამოყენებისგან სხვა ქვეყნების მიმართ, პატივი უნდა სცეს მის პოლიტიკური ორიენტაციას, ევროპაში არ უნდა მოხდეს საზღვრების ძალისმიერი შეცვლა. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ამ პრინციპების დაცვას და შევეგუებით, რომ ერთ ქვეყანას შეეძლება დაესხას თავს მეორეს, მოჰპაროს ტერიტორიები, განაგრძოს ადამიანების მკვლელობა, იგივე შესაძლოა მოხდეს სხვა ადგილებში. სინამდვილეში, ჩვენ ეს უკვე ვნახეთ. ასე მოხდა საქართველოში და ხდება უკრაინაში. რუსეთს კვლავ ოკუპირებული აქვს მოლდოვის ნაწილიც. ასე რომ, ეს არის საკითხი, რომელიც მთელ ევროპას ეხება. ჩვენ უნდა დავიცვათ ტერიტორიული მთლიანობისა და მშვიდობისა პრინციპები“, — განაცხადა ვოლკერმა.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6840; ევრო - 3.0458;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5539
100 რუბლი - 4.1590; თურქული ლირა - 0.4912;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5833;
1000 სომხური დრამი - 5.5113.

ამინდი 20 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge